ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

! 2 @ vfhnb7 @)!$ 150 (6361) afcb5 #) stshb

26 თებერვლიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
ქურდები და არიფები
ტომი 5
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი






## მამუკა ხაზარაძე: „მატივრების და ქურების ბიზნესი ჩვენ არ გვაინტერესებს!“

„თიბისი ბანკი“ „გუდვილს“, „ელიტ-ელექტრონიქსსა“ და „ასავალ-დასავალს“ უჩივის

გვ.2



## ვანო მერაბიშვილი: „სასამართლომ ვერ გაუძლო ზეწოლას და სრულიად უკანონო და უსამართლო განაჩენი გამოიტანა“

გვ.2



## უნდა დაინიშნონ თუ არა მოსამართლეები სამუდამოდ, ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე?!

გვ.2



გვ.2

## ემზარ კვიციანი დააკავეს



## მანანა ნიკოლაიშვილი: „სააკაშვილის დროს 1 200-ზე მეტი სკოლა დაიხურა“

გვ.2

## მირონ ფირცხელანი: „ხუდონჰესის აშენებით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნება“

რა შემთხვევაში გადმოიწევს კავკასიონზე საზღვარი 150 კილომეტრით

გვ.2



## სამების ტაძარში ხალხის ნაკადის მოწესრიგების მიზნით შსს-მ სპეციალური მიმართულებები განსაზღვრა



სამების საკათედრო ტაძარში მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან მიახლების მსურველთა დიდი ნაკადის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხალხის გადაადგილების სპეციალური მიმართულებები განსაზღვრა.

შსს-ს ინფორმაციით, ქვეითად მოსიარულე მოქალაქეებმა ტაძრის დასავლეთ კარიბჭემდე მისასვლელად სამრეკლოს ქუჩით უნდა ისარგებლონ, საიდანაც სამების ცენტრალური შესასვლელიდან რკინის ჯებირებით მოწყობილი უსაფრთხოების დერეფნის გავლით შეძლებენ ტაძართან მისვლას.

ტაძრიდან გამოსვლისას, მოქალაქეებმა სამხრეთის კარიბჭის მიმართულებით უნდა იმოძრაონ და სამების ეზო ერისთავის ქუჩის მხრიდან დატოვონ.

ტაძრისკენ მიმავალ ყველა ქუჩაზე ავტომანქანით მოძრაობა იზღუდება, ხოლო ხალხის ნაკადის მატებისას, შესაძლებელია, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებმა ქუჩები პერიოდულად გადაკეტონ.

იმისთვის, რომ არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პოლიციამ შეძლოს ხალხის ნაკადის მოწესრიგება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ტაძარში შესვლის მსურველებს მოუწოდებს, დაემორჩილონ სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყონ მათ წესრიგის დაცვაში და პოლიციასთან ერთად კოორდინირებულად იმოქმედონ.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385
9 771987 938006

18 თებერვლიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
საქართველოს ისტორია
საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით
აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ & კფჰბ



## ირაკლი ღარიბაშვილი: ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის პროვოკაციული ქმედებები ჩვენს ურთიერთობაში პრობლემად რჩება“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ცალკეული პოზიტიური შედეგების მიუხედავად, პრობლემები და გამოწვევები კვლავ რჩება. ამის შესახებ პრემიერმა კოლუმბიის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ღარიბაშვილმა საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ევროპული გზის ერთგული რჩება.

„ჩვენი კონსტრუქციული ნაბიჯების მიზანია დაძაბულობის შემცირება. რუსეთის პროვოკაციული ქმედებები ოკუპირებულ რეგიონებში რჩება პრობლემებად ჩვენს ურთიერთობაში. ჩემმა ქვეყანამ ქვეყნის ევროპიზაციის



გზა აირჩია. გვინდა საქართველო შევცვალოთ უკეთესი მიმართულებით, ვინაიდან ჩემი ხალხი ამას იმსახურებს. ეს არის დამოუკიდებელი ერის არჩევანი. ეს არის სწორი არჩევანი. ვფიქრობ, 3-4 წლის შემდეგ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები დაინახავენ განსხვავებას, როგორ ვცხოვრობთ ჩვენ და როგორ ცხოვრობენ ისინი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ვთავაზობთ აფხაზებსა და ოსებს, იმოგზაურონ ევროპაში ქართული პასპორტებით, უვიზოდ. ჩვენ მათ ვთავაზობთ თავისუფლებას. ეს არის უმნიშვნელოვანესი რამ, რაც მსოფლიოში ყველა ერს სჭირდება“-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა უკრაინაში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით აკვირდება.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აუდიტორიის კითხვებს უპასუხა. რუსეთის მიერ ე.წ ბორდერიზაციის პროცესის შეფასების გარდა, ირაკლი ღარიბაშვილს კითხვები სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე, შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით საქართველოს მთავრობის სამომავლო სტრატეგიასა და საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაკავების შესახებ დაუსვეს.

ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მისი მთავრობისთვის ყველაზე მთავარი ღირებულება ადამიანი, ყველაზე დიდი გამოწვევა კი, ეკონომიკა და უმუშევრობაა.

რაც შეეხება ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და კანონის უზენაესობა გარანტირებულია, ხოლო ვის დააპატიმრებენ და ვის – არა, ეს დამოუკიდებელი სასამართლოს გადასაწყვეტია.

**ნიუსპრესი**

## ვანო მერაბიშვილი: სასამართლომ ვერ გაუძლო ზეწოლას და სრულიად უკანონო და უსამართლო განაჩენი გამოიტანა“



ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ე.წ 26 მაისის საქმეზე მის მიმართ სასამართლოს მიერ გუშინწინ გამოტანილ განაჩენს უსამართლოს უწოდებს. როგორც მერაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, სასამართლომ ხელისუფლების ზეწოლას ვერ გაუძლო.

„გუშინწინ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოსამართლე ხათუნა ხარჩილავას სახით, სრული კაპიტულაცია გამოაცხადა ხელისუფლების წინაშე. სამწუხაროდ, მან ვერ გაუძლო ხელისუფლების ზეწოლას და იმავე ხელისუფლების მიერ წინა წლების განმავლობაში შექმნილ საზოგადოებრივ აზრს და გამოიტანა სრულიად უკანონო და უსამართლო განაჩენი“– განაცხადა ექსპრემიერმა.

ვანო მერაბიშვილი საფრანგეთის სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებასთან ავლებს პარალელს, რომელმაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირებაზე უარი თქვა.

მისი შეფასებით, ამით საფრანგეთის სასამართლომ ქართულ მართლმსაჯულებას განაჩენი გამოუტანა.

„აღსანიშნავია, რომ გუშინვე, საფრანგეთში გაიმართა კიდევ ერთი პროცესი ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ. ამჯერად, უკვე რეალურად დამოუკიდებელმა ფრანგმა მოსამართლემ უარი განაცხადა დავით კეზერაშვილს საქართველოსთვის გადმოცემაზე, ვინაიდან სახეზე იყო პოლიტიკური დევნის ნიშნები და გაათავისუფლა იგი. ამ გადაწყვეტილებით, ფრანგულმა სასამართლომ არა მხოლოდ გაამართლა დავით კეზერაშვილი, არამედ ამასთანავე, განაჩენი გამოუტანა ქართულ მართლმსაჯულებას, როგორც პოლიტიკური დევნის იარაღს“– განაცხადა მან.

ვანო მერაბიშვილს ე.წ 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით, გუშინ, 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, რაც ამნისტიის კანონის საფუძველზე მცირდება და 4 წელსა და 6 თვეს შეადგენს.

**ნიუსპრესი**

## დემოკრატიული მოძრაობა“ იმედოვნებს, რომ ხელისუფლება განაჩენების გადახედვის მექანიზმის შესახებ ომბუდსმენის ინიციატივას გაიზიარებს

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ სახალხო დამცველის ინიციატივას, რომელიც უკანონოდ გამოტანილი განაჩენების გადახედვის მექანიზმს ეხება, მიესალმება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბრიფინგი დღეს პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა, ყოფილმა პოლიტპატიმარმა ბექა პეტრიაშვილმა გამართა.

მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივა ყოფილი პოლიტპატიმრებისთვის იმედია იმისა, რომ ყველა დამნაშავე პასუხს აგებს.

„2012 წლის, პირველ ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ ხმა მიეცით ნაციონალური, ძალადობრივი რეჟიმის დასრულებას და ამიტომ მხარი დავუჭირეთ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“. ერთადერთი, რაც ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ გააკეთა არის ის, რომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა 192 პოლიტიკური პატიმარი და დევნილი, მათ შორის ვიყავი მეც, ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პოლიტპატიმარი ბექა პეტრიაშვილი. დამაკავეს 2011 წლის 6 ივლისს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით, რა თქმა უნდა, რეალური მიზეზი 26 მაისის აქციებში მონაწილეობა და აქტიურობა იყო“ – განაცხადა პეტრიაშვილმა.

მისი თქმით, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ერთი ქმედითი ნაბიჯიც არ გადადგმულა ყოფილი პოლიტპატიმრების რეაბილიტაციისთვის – არ აღდგენილა სამსახურში, არ დაუბრუნებიათ წართმეული ქონება.

„ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არა თუ არ დასჯილა, არამედ გაცოცხლდა როგორც პოლიტიკური ძალა. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები უკვე ღიად საუბრობენ ხელისუფლებაში მობრუნებაზე. ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის საკითხი გაურკვეველი ვადით გადადო, ვითომდა ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არარსებობის გამო. ამ ფონზე ჩვენთვის ძალიან მისასალმებელია სახალხო დამცველის ინიციატივა, რომელიც გვთავაზობს უკანონოდ გამოტანილი განაჩენების გადახედვის მექანიზმს. რთული სათქმელია, რა ვადებში და როგორ უნდა მოხდეს ეს, თუმცა ინიციატივა ჩემთვის და სხვა პოლიტპატიმრებისთვის ნამდვილად არის იმედი იმისა, რომ ადამიანები, რომლებმაც წლების მანძილზე ჩაიდინეს უამრავი დანაშაული, ატერორებდნენ და აშინებდნენ ხალხს, უკანონოდ გვაპატიმრებდნენ, გვარბევდნენ და გვიწყობდნენ სადამსჯელო სისხლიან სპეცოპერაციებს, დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად აგებენ პასუხს სამართლიანი სასამართლოს წინაშე“ – განაცხადა მან.

პეტრიაშვილის განცხადებით, არც მისთვის და არც საზოგადოებისთვის ადამიანების დაპატიმრება და ციხეში ჩასმა თვითმიზანი არ არის, თუმცა, მისივე თქმით, საჭიროა იმისთვის, რომ არცერთ ხელისუფლებას არ ჰქონდეს დაუსჯელობის განცდა და იმედი და რომ ხელისუფალიც და ჩვეულებრივი მოქალაქეც კანონის წინაშე თანასწორია.

„ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ გახდეს სამართლიანი სახელმწიფო და თითოეულმა მოქალაქემ საკუთარი თავი დაცულად იგრძნოს. იმედს გამოვთქვამთ, რომ სახალხო დამცველის ეს ინიციატივა იქნება გაზიარებული და ახლა მაინც დაიწყება ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება“ – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

**ნიუსპრესი**

## თინათინ ხიდაშელი: აშშ საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს, რომ არ დაუშვას პოლიტიკური დევნა“

უმრავლესობის დეპუტატის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2013 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს არ ადასტურებს. მისი განმარტებით, ანგარიშით აშშ საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს, რომ პოლიტიკური დევნა არ დაუშვას.

„მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე წინა ანგარიშისგან განსხვავებით, წელს საუბარია სწორედ იმაზე, რომ ისმის ბრალდებები, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისგან. საუბარია იმაზე, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი არ ადასტურებს ამ ბრალდებებს და შესაბამისად, მოგვმართავს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ დავუშვათ პოლიტიკური დევნა. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით შენიშვნა აი ამ კონტექსტს არ გასცდა“ – განაცხადა ხიდაშელმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშშია აღნიშნულია, რომ საქართველოში 2013 წელს ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში ძირითადი პრობლემები იყო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მოხელეთა გათავისუფლება ყოფილ მმართველ პარტიასთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირის გამო და მთავრობის არადამაკმაყოფილებელი რეაგირება. გარდა ამისა, მასში საუბარია რეგლიგიური უმცირესობების და ლგბტ პირების წინააღმდეგ დაფიქსირებულ ფაქტებზე. ანგარიშში საუბარია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავების შესახებაც და პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ბრალდებებზეც.



**ნიუსპრესი**

## საქართველო-ავღანეთის თავდაცვის უწყებები თანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ნატოს შტაბ-ბინაში ავღანელ კოლეგას ბისმილა ხან მუჰამადს შეხვდა.

მხარეებმა ავღანეთის საერთაშორისო მისიის მიმდინარეობაზე ისაუბრეს და პოსტაისაფ-ის ახალი ოპერაციის დეტალები განიხილეს. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდა ავღანეთში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის ადგილობრივი ძალებისთვის გადაბარების საკითხზეც.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ორმხრივ შეხვედრაზე მინისტრებმა საქართველოსა და ავღანეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, უახლოეს პერიოდში ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებები სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს გააფორმებენ.

ირაკლი ალასანიამ ავღანელ კოლეგასთან საქართველოს მთავრობის მზადყოფნა გამოხატა, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ უსაფრთხოების ძალებს რეფორმების განხორციელების პროცესში.

„კიდევ ერთხელ დავუდასტურეთ ავღანეთს და მის მინისტრს, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის გააგრძელოს მათი მხარდაჭერა, რადგან ჩვენ, ისევე როგორც ავღანეთმა, გავიარეთ საბჭოთა ოკუპაცია, სამოქალაქო ომი და დღეს ძლიერად დავდექით ფეხზე. რეფორმები, რომელიც საქართველოში განხორციელდა, მათთვის ძალიან საინტერესოა. ამიტომ, ჩვენ თავდაცვის რეფორმირების კუთხით მათ ამ გამოცდილებას გადავცემთ. აქედან გამომდინარე, უახლოეს პერიოდში ჩვენ უკვე გავაფორმებთ ორმხრივ შეთანხმებასაც“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ავღანელ კოლეგასთან ორმხრივი შეხვედრა ნატო-ს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში გამართა.

მინისტერიალის დასრულების შემდეგ, ირაკლი ალასანიამ ბრიუსელში ვიზიტი შეაჯამა და განაცხადა, რომ ნატოში საქართველოს იმიჯი დღითიდღე იზრდება. მინისტრის თქმით, უფრო და უფრო აფასებენ საქართველოს და ქართველი ჯარისკაცების წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეში.

**ნიუსპრესი**

## შსს-მ დიდი ოდენობით მარიხუანა“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1971 წელს დაბადებული გენადი ჟ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქუთაისში, მშენებლის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომანქანის და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ასანთის 44 კოლოფში დაფასოებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 69,35 გრ მარიხუანა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
[illegible]
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

# უნდა დაინიშნონ თუ არა მოსამართლეები სამუდამოდ, ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე?!

ნათია ხურცილავა

**გუშინ 'შერატონ მეტეხი პალასში~ მოსამართლეთა მორიგი კონფერენცია გაიმართა. შეხვედრაზე განსახილველი ერთადერთი მთავარი თემა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა და მათთვის 3 წლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესება იყო.**

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ სანამ მოსამართლეებს სამისდღემჩიოდ დავნიშნავთ და ადამიანების ბედს გადაწყვეტენ, მანამდე გამოსაცდელი ვადა უნდა დავუწესოთ. იუსტიციის მინისტრის ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი. კუბლაშვილის არგუმენტი კი ასეთია: გამოსაცდელი ვადა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ხელს შეუშლის.

ეს არის ის საკითხი, რაზეც დავამ შეიძლება საზოგადოებაშიც გადაინაცვლოს.

გუშინ კონფერენციას უცხოელი მოსამართლეები და საელჩოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ისინი პრესასთან საუბარში აცხადებდნენ, რომ აღნიშნულ საკითხზე დებატები და შემდეგ უკვე კონსენსუსის მიღწევა ხელს შეუწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობას.

თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო მართლმსაჯულების სისტემაში გამართული სისტემის შექმნაზე აგრძელებს მუშაობას.

მინისტრის განმარტებით, ეს უნდა იყოს ისეთი სისტემა, რომელიც გამოიტანს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის მიმართაც საზოგადოებას ნდობა იქნება.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, დღეს ეს ნდობა ჯერ კიდევ დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე თავისუფალია.

— დღეს ჩვენ მოსამართლეების საერთაშორისო კონფერენცია მოვიწვიეთ, 7 ქვეყნის უცხოელი მოსამართლეა ჩამოსული იმისთვის, რომ მათსა და ჩვენს მოსამართლეებს შორის დიალოგი შედგეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა მოსამართლეებისთვის 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა მანამ, სანამ ისინი სამუდამოდ დაინიშნებიან ამ თანამდებობაზე. 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა გულისხმობს იმას, რომ უნდა არსებობდეს შეფასების სისტემა. ის მოსამართლე, რომელიც კარგად იმუშავებს, დაინიშნება მუდმივად და ვინც ვერ იმუშავებს, ის ვერ იქნება დანიშნული. ეს სისტემა სხვა ქვეყნებში მოქმედებს და იმ 7 ქვეყნის მოსამართლეები მოვიწვიეთ, სადაც ეს სისტემაა და ისინი გაგვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას იმისთვის, რომ ქართველი მოსამართლეები იყვნენ შეფასებულნი მანამ, სანამ სამუდამოდ დაინიშნებიან და ადამიანების ბედს გადაწყვეტენ, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენციას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი და ამერიკის ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი ესწრებოდნენ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის განცხადებით, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მან სასამართლო ხელისუფლების პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა.





— დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი თემები განსახილველი, ეს არის მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის საკითხი და, სამწუხაროდ, ის ახალი ნორმა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეები უკვე მხოლოდ გამოსაცდელი 3 წლის ვადით ინიშნებიან. დაპირისპირებაა ამ ორ პრინციპს შორის და სწორედ ეს უნდა განვიხილოთ, ასევე ის, უნდა შეფასდეს თუ არა რაიმე კრიტერიუმით მოსამართლის საქმიანობა აღნიშნული გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. სასამართლო სისტემის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია. 2013 წლის დეკემბრის ბოლოს მოსამართლეთა კონფერენციამ მხარი დაუჭირა განცხადებას, რითიც აღვნიშნეთ, რომ გამოსაცდელი ვადა სასამართლოს დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის, — განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, მინიმუმ კანონმდებლობაში უნდა ჩაიწეროს, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მონიტორინგის არანაირი კრიტერიუმი არ იქნება შემოღებული და 3 წლით დანიშნული მოსამართლეები შემდეგ ავტომატურად უვადოდ დაინიშნებიან.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი მოსამართლეთა უვადო დანიშვნის, გამოსაცდელი ვადის, მონიტორინგისა და შეფასების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციას, როგორც აღვნიშნეთ, ესწრებოდა. დიპლომატის განცხადებით, ის მიესალმება დებატებს ისეთ თემებზე, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდისკენ იქნება მიმართული.

ბრიჯიტ ბრინკის თქმით, მისასალმებელია, რომ კონფერენციას, რომელიც იუესაიდის ხელშეწყობითა და ევროპული საელჩოების მხარდაჭერით ტარდება, ესწრებიან როგორც იუსტიციის სამინისტროს, ასევე უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები.

— ასევე მივესალმებით საცდელ პერიოდში მონიტორინგის სწორად წარმართვას. ეს ყველაფერი მიმართულია დამოუკიდებელი სასამართლოს ხელშეწყობაზე და მსგავსი დებატები სასამართლო დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. ამერიკის შეერთებული შტატების ხედვით აქ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია განსახილველი, მაგალითად, როგორ ინიშნება მოსამართლე, — განაცხადა ბრინკმა.

# მამუკა ხაზარაძე: მაცივრების და ქურების ბიზნესი ჩვენ არ გვაინტერესებს!“

## „თიბისი ბანკი“ „გუდვილს“, „ელიტ-ელექტრონიქსსა“ და „ასავალ-დასავალს“ უჩივის

ნათია ხურცილავა

„თიბისი ბანკის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე ხაზარაძემ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. თუმცა, სანამ პრესის კითხვებს უპასუხებდა, მის წინააღმდეგ წარმოებულ ბრალდებებსა და იმ სარჩელებზე გააკეთა განცხადება, რომელიც „თიბისი ბანკმა“ ადვოკატ ზვიად კორძაძესთან ერთად მოამზადა.

პროკურატურაში შეტანილი ერთ-ერთი სარჩელი სწორედ ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ საქმეზეა.

ხაზარაძის განცხადებით, კომპანია ,,გუდვილის“ მფლობელი გოგი შევარდნაძე მასთან მივიდა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ,,გუდვილი“ „თიბისი ბანკს“ ორი წლის განმავლობაში გაყალბებულ დოკუმენტაციას აწვდიდა.

ხაზარაძემ ჟურნალისტებს იმ ურთიერთობაზეც მოუყვა, რომელიც ბანკსა და ,,გუდვილს“ შორის ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა.

— ,,გუდვილი“ იმუშავებს, მაგრამ თაღლითების გარეშე, — აცხადებს ხაზარაძე.

ბიზნესმენმა თავდაპირველად ყურადღება კომპანია „გუდვილსა“ და თიბისი ბანკს შორის არსებულ ურთიერთობაზე გაამახვილა.



ხაზარაძის ინფორმაციით, თიბისი ბანკმა „გუდვილის“ დაფინანსება 2003 წელს გადაწყვიტა და 2003-2013 წლებში სულ 80 მილიონი ლარი გადაურიცხა. 2013 წელს „გუდვილს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა, რის გამოც ბანკმა რამდენიმე ღონისძიება გაატარა, მათ შორის, კომპანიას საბრუნავი სახსრები გაუზარდა და სესხის პროცენტის გადახდა შეუჩერა.

— გოგი შევარდნაძე ჩემთან მოვიდა და ოფიციალურად განაცხადა, რომ 2 წლის განმავლობაში გაყალბებულ ფინანსურ მონაცემებს გვაწვდიდნენ. 2 წლის განმავლობაში სისტემური დანაშაული ხდებოდა. შესაძლოა, ეს შეცდომა იმან დაგვაშვებინა, რომ მათ ზედმეტად ვენდობოდით, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

ხაზარაძის თქმით, მას შემდეგ, რაც ბანკისათვის გაყალბებული დოკუმენტაციის შესახებ გახდა ცნობილი, კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან ფინანსური დარღვევის გამო პროკურატურაში სარჩელი 2013 წლის ზაფხულშივე შეიტანა. მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ბანკს პრეტენზია არა „გუდვილის“ წინააღმდეგ, არამედ მენეჯმენტსა და დამფუძნებლებთან აქვს.

— პროკურატურაში სარჩელი შევიტანეთ, მაგრამ როგორც ჩანს, იმ უამრავი საქმის გამო, რაც პროკურატურაში არსებობს, ჯერჯერობით ჩვენი რიგი არ დადგა. ეჭვი გვაქვს, რომ საქმე ,,გუდვილის“ მხრიდან თიბისი ბანკისთვის თანხის გამოძალვას ეხება, ვინაიდან რამდენიმე დღის წინ კომპანიის მენეჯმენტმა ვალების ჩამოწერა შემოგვთავაზა, რაც არ მოხდება, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ ბანკის ამოცანა კომპანიისა და იქ დასაქმებული ადამიანების გადარჩენაა.

— ჩვენი ამოცანა კომპანიის გადარჩენაა და არა მისი თაღლითი დამფუძნებლის. „გუდვილი“ იმუშავებს, მაგრამ ამ თაღლითების გარეშე, რომლებიც იქ წლების განმავლობაში თაღლითურად საქმიანობდნენ“, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ

ხაზარაძის თქმით, ,,გუდვილს“ „თიბისი ბანკის“ მიმართ 50 მილიონი ლარის დავალიანება გააჩნია. შესაძლოა, ეს შეცდომა ჩვენ დაგვაშვებინა იმან, რომ მათ ზედმეტად ვენდობოდით. ვაღიარებთ ამ უყურადღებობას, ჩვენ არ ვთხოვდით ,,გუდვილს“ საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ მათ შემოწმებას, რადგან ეს დიდი ფინანსური ხარჯი იყო. ეჭვი გვაქვს, რომ საქმე ეხება ,,გუდვილის“ მხრიდან „თიბისი ბანკისთვის“ თანხების გამოძალვას, ვინაიდან რამდენიმე დღის წინ კომპანიის მენეჯმენტმა ჩვენ ვალების ჩამოწერა შემოგვთავაზა, — განაცხადა ხაზარაძემ.

როგორც ხაზარაძემ პრესკონფერენციისას განაცხადა, ,,გუდვილსა“ და თიბისი ბანკს შორის 10 წლიანი ურთიერთობა არსებობდა და აღნიშნული ფაქტის შემდეგ მას მოუხდა თიბისის მენეჯმენტის დარწმუნება, რომ „გუდვილისთვის“ დაფინანსება არ შეეწყვიტათ, რადგან ხაზარაძის თქმით, იგი აცნობიერებდა, რომ კომპანიის უკან უამრავი ადამიანი იდგა, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება რომ კომპანიის რეაბილიტაცია დაწყებულიყო.

ხაზარაძემ ამის დასტურად ჟურნალისტებს ის ფაქტი გაახსენა, როცა შარშან გარკვეული პერიოდის განმავლობაში „გუდვილის“ მაღაზიები ფაქტობრივად დაცარიელებული იყო.

მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ თიბისი ბანკი მზად არის ნებისმიერ კითხვას დოკუმენტურად უპასუხოს.

— დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან, რათა ღიად და გამჭვირვალედ დაგვეფიქსირებინა, რომ არანაირი კითხვა არ არსებობს, რომელზეც ჩვენ არ გვაქვს პასუხი, ჩვენ ვართ ძალიან გამჭვირვალეები და ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ეფუძნებოდა და ემსახურებოდა იმას, რომ ხმამაღლა გავილაშქროთ ცილისმწამებლური კამპანიის წინაშე, რომელიც პირველ რიგში ღირსებას ეხება, რაც პირადად ჩემთვის და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, — აღნიშნა ხაზარაძემ.

ბიზნესმენმა კიდევ ერთ საქმეზე ისაუბრა. ამჯერად საქმე ,,ელიტ-ელექტრონიქსსა და ბანკს შორის არსებულ დავას ეხება.

— ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს სერიოზულ გაყალბებასთან და ფინანსურ მაქინაციასთან. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ ამ საქმეზე არაფერს ვამბობდით, გარდა იმისა, რომ ეს იყო სიცრუე. თუმცა შარშან შევიტანეთ პროკურატურაში სარჩელი ანზორ ქოქოლაძის წინააღმდეგ ცრუ დასმენის თაობაზე, ანუ მისი მხრიდან გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებების გამო, — აცხადებს ხაზარაძე.

— 2005 წელს თიბისი ბანკმა დაიწყო ,,ელიტ-ელექტრონიქსის“ დაფინანსება. 2009 წელს ოთხმა ქართულმა ბანკმა დააფინანსა ის, მაგრამ მათ არავინ ახსენებს და მხოლოდ თიბისი ბანკის ლანძღვა მიდის. მე ერთი შეხვედრა მქონდა ანზორ ქოქოლაძესთან. ჩვენ მზად ვიყავით, რომ ის აქციები ნებისმიერ დროს დაგვებრუნებინა, თუ ვალდებულების დაფარვა მოხდებოდა. მე ვუთხარი მას, რომ პატივს ვცემდი, როგორც ბიზნესმენი ბიზნესმენს და შევთავაზე, გადამდგარიყო დირექტორის თანამდებობიდან და ერთობლივად სხვა დაგვენიშნა, რადგან ჩვენ ეჭვი გვეპარებოდა მასში, რომ მისი ხელმოწერებით ხდებოდა არასწორი მართვა. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ 2009 წელს მას სახელმწიფო აკისრებს 7,5 მილიონი ლარის გადახდას, რაზეც ერთადერთი ბრალდება, რომელსაც ჩვენ გვიყენებენ, არის ის, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა თიბისი ბანკი, რათა ამ გზით ხელში ჩაეგდო „ელიტ-ელექტრონიქსი“. ეს არის სრული აბსურდი. თქვენ იცით, რომ 22 წლის განმავლობაში, რაც საბანკო ბიზნესში ვარ და თიბისი ბანკი არსებობს, არც ერთ სხვა კომპანიაში თიბისი ბანკი არ შესულა. ჩვენ არაპროფილურ ბიზნესს არ ვაწარმოებთ, არ გვაინტერესებს. ესაა ჩვენი სტრატეგია. არცერთი კომპანია, რომელიც არაპროფილურია, მით უმეტეს, მაცივრების და ქურების ბიზნესი ჩვენ არ გვაინტერესებს. ეს არაა ჩვენი პროფილი. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ 2014 წელს უკვე სხვა ხელისუფლების და სხვა ფინანსთა მინისტრის დროს „ელიტ-ელექტრონიქსს“ დააკისრეს დამატებით 6 მილიონი ლარის გადახდა 2007 წელს აღმოჩენილი დარღვევების გამო. ამას როგორ ახსნიან?! როცა ოთხი ბანკი ცდილობდა „ელიტ-ელექტრონიქსის“ პრობლემების მოგვარებას, ანზორ ქოქოლაძე ფულს რიცხავდა თავისი დის კომპანიაში და ზუსტად იგივე პროფილის ბიზნესს იწყებდა, რაც „ელიტ-ელექტრონიქსი“ იყო, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

მესამე სარჩელი, რომელიც ბანკმა მოამზადა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიერ რამდენიმე ნომერში ბანკისა და თავად მამუკა ხაზარაძის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებს ეხება.

მოსარჩელე მხარე გაზეთის მიერ გამოქვეყნებული ცრუ ინფორმაციის უარყოფას, ბოდიშის მოხდასა და მორალური ზიანის სახით 160 000 ლარის ანაზღაურებას მოითხოვს, რომელიც, ბანკის გადაწყვეტილებით, თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარებას მოხმარდება.

2014, 1 — 2 მარტი, №50

# მანანა ნიკოლაიშვილი: სააკაშვილის დროს 1 200-ზე მეტი სკოლა დაიხურა“

მარიკა მჭედლიშვილი

**ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოს განათლების ლიგის“ თავმჯდომარე მანანა ნიკოლაიშვილს**

***— წინა ხელისუფლების დროს არც ისე ცოტა პედაგოგი გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით. მოხერხდა თუ არა მათი სამსახურებში დაბრუნება?***

— დღევანდელ მმართველ პარტიას ამ პედაგოგებთან დაკავშირებით შესანიშნავი პროგრამა ჰქონდა. ჯერ კიდევ საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ შეიქმნა შესაბამისი პროგრამა. მის დაწერაში მეც ვმონაწილეობდი. სამწუხაროდ, ეს პროგრამა თითქმის არ თუ ვერ სრულდება. ამ დოკუმენტის თანახმად, პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკოლების, პროფსასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების) დაბრუნება. ანუ, ამ შემთხვევაში, სამართლიანობა აღდგებოდა. ეს ჯერ არ მომხდარა. არც მგონია, რომ მოხდეს.

***— არადა, სპეციალური კომისია დიდი ხანია, შექმნილია...***

— კომისია მუშაობს, მაგრამ, თან დასცინის ყველას, იმიტომ რომ, არაფერს აკეთებს. ისმის კითხვა: საერთოდ რისთვის შეიქმნა ეს კომისია? ჯობდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეესწავლა ეს საკითხები.

***— როგორც ვიცი, ეს კომისია დაზარალებულ პედაგოგებს ხვდებოდა...***

— დიახ, ხვდებოდა, მაგრამ რა შედეგი ჰქონდა ამ შეხვედრებს? აიღეს რაღაც აბსურდული კრიტერიუმები. ვინც მართლა პოლიტიკურად არის დაზარალებული, მათ ჩამოურიგეს წერილები იმის შესახებ, რომ ისინი არ არიან პოლიტიკური ნიშნით დევნილები. ათიათასობით განცხადება შევიდა და სულ რაღაც 860 აღიარეს პოლიტიკურ დევნილად, ანუ 860 კაცის განცხადება დაიტოვეს. აქედან უმეტესობას ან პასუხი არ გასცეს, ან, საბოლოოდ, უარით გაისტუმრეს.

***— მცირე ნაწილი სამსახურებშიც დაბრუნდა...***

— ვინც სამსახურში აღდგენა მოახერხა, ეს გააკეთა თავისი ძალებით, თავისი ნაცნობობით. ბევრს მმართველმა პარტიამ გაუწია დახმარება. საზოგადოება აღშფოთებულია ამ კომისიის მუშაობით. ამ კომისიის მუშაობა სახელმწიფომაც არადამაკმაყოფილებლად უნდა შეაფასოს და დაშალოს ეს ორგანო. ვიცნობ უსამართლოდ გათავისუფლებულ პედაგოგებს, რომლებიც ისეთი სასოწარკვეთილი იყვნენ, რომ თავის მოკვლასაც კი ცდილობდნენ. მათ გამო მთელი ზაფხულის განმავლობაში ქალაქიდან ფეხი ვერ გავადგი. მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, თავს აღარ ვიცოცხლებთო. სააკაშვილის პოლიციამ რომ ათრია რამდენიმე კილომეტრზე პედაგოგი, ქალბატონი ლამზირა ყორჩიშვილი, ისიც კი არ არის ჯერ სამსახურში დაბრუნებული.

***— თქვენ პროგრამა ახსენეთ. კიდევ რა იყო ამ პროგრამაში მნიშვნელოვანი და რა ვერ შესრულდა?***

— როგორც გითხარით, ეს იყო მოძრაობა „ქართული ოცნების“ პროგრამა. პროგრამაში მთავარი მაინც ის იყო, რომ სამართლიანობის აღდგენა დაწყებულიყო პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანების დაბრუნებით. ასევე მნიშვნელოვანი იყო დატაცებული ქონების დაბრუნება. სააკაშვილის მმართველობამ და თავად სააკაშვილმა არაერთი შენობა მიიტაცა.

***— სკოლებისა და ბაგა-ბაღების შენობები?***

— საუბარია უძრავ-მოძრავ ქონებაზე-მიწებზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებზე, რომელიც უკანონოდაა გასხვისებული. ბევრი მათგანი სიმბოლურად, ერთ ლარად გაიყიდა. მხედველობაში მაქვს სკოლების, საბავშვო ბაღების, პროფესიული სასწავლებლების შენობები თავისი მიწის ნაკვეთებით. რაზე ვლაპარაკობთ? სააკაშვილის დროს 1 200-ზე მეტი სკოლა დაიხურა. ამ ათას ორასი სკოლიდან არც ერთი არ იყო დასახური. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიც ბევრი დაიხურა. სახელმწიფო სტატისტიკა დახურეს იმ სკოლამდელ დაწესებულებებზე, რომელიც თვითონ აქვთ მიტაცებული. უმაღლესი სასწავლებლების შენობებსაც იგივე ბედი ეწია. როგორ შეიძლება ასე მოექცე სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებს, როგორიც სოფლის მეურნეობა და ვეტერინარული სამსახურია, რაც ერთიან ცენტრალიზებულ მმართველობას მოითხოვს. ისინი შეაერთეს და კერძო სექტორს ერთ ლარად გადასცეს. ამ მისაკუთრებებსა და დატაცებებს უკანონოდ ჩატარებულ პრივატიზაციასაც კი ვერ დავარქმევთ. ეს ყველაფერი სპორტულ ბაზებთან, სპორტულ სკოლებთან ერთად უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფოს.

***— სპორტული სკოლებიც მიტაცებულია?***

— სპორტული ობიექტები სააკაშვილმა თავისი ჯიბის ბიზნესმენებს მისცა. ყველა ეს ქონება, რომელიც ჩამოვთვალე, პროგრამის თანახმად, უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფოს.

***— ფიქრობთ, რომ ეს აღარ მოხდება?***

— მმართველი პარტია ამისთვის არაფერს აკეთებს. როცა პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი იყო, მოვითხოვდი, რომ ამ მიზნით შექმნილიყო სპეციალური სახელმწიფო კომისია. ეს კომისია გამოიკვლევდა ამ უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისების საქმეებს და შედეგად, ქონება სახელმწიფოს დაუბრუნდებოდა.

***— კიდევ რა იყო პროგრამაში გაწერილი?***

— უნდა შემოწმებულიყვნენ რექტორები, სკოლებისა და პროფსასწავლებლების, ბაგა-ბაღების დირექტორები, რომელიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დანიშნული (არა არჩეული, არამედ, დანიშნული) და არა პროფესიონალიზმის ნიშნით. საქართველოს კანონმდებლობითაც და საერთაშორისო ნორმებითაც, პოლიტიკის ჩარევა აკადემიურ საგანმანათლებლო პროცესებში არ შეიძლება. „ქართულმა ოცნებამ“ ამ მხრივაც არაფერი გამოასწორა, რაც ეწინააღმდეგება მის წინასაარჩევნო დაპირებებს. ხელისუფლებაში მოსვლამდე სულ იმეორებდნენ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამლაგებლებიც პოლიტიკური ნიშნით არიან მიღებულიო.

***— უმაღლეს სასწავლებლებში არ იცვლება სიტუაცია?***

— ზოგიერთ რექტორს ვადა ამოეწურა. იმართება კონკურსები, მაგრამ, ისევ „ნაციონალების“ რჩეულები იკავებენ თანამდებობებს.

***— მაგალითებს ხომ ვერ გვეტყვით?***

— როგორ არა. მხოლოდ თსუ-ში შეიცვალა რექტორი. კვიტაშვილი გაუშვეს და ბატონი ლადო პაპავა მოვიდა. კვიტაშვილს სამეცნიერო ხარისხი რომ ჰქონოდა, რექტორად დარჩებოდა. მაგალითისათვის შეიძლება სოხუმის უნივერსიტეტიც დავასახელოთ. იქ ჩატარდა არჩევნები და „ნაციონალების“ მიერ ლობირებული ბატონი ჯონი აფაქიძე დარჩა რექტორად. ილიაუნში გიგი თევზაძეს გაუთავდა უფლებამოსილების ვადა. ჩატარდა არჩევნები და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, გიგა ზედანია აირჩიეს რექტორად. ჯერ ერთი, გაუგებარია, როგორ უნდა მართავდეს ამხელა უნივერსიტეტს, რომელმაც რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი მიიერთა, ^6-კაციანი აკადემიური საბჭო? ან ეს რა ცვლილებაა? „ქართულმა ოცნებამ“ მეტი თუ ვერაფერი მოახერხა, ამას ჯობდა, გიგი თევზაძისათვის გაეგრძელებინათ ვადა. „ნაციონალების“ მიერ პარტიულ-პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტებული აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები ყველგან ირჩევენ (ან ადგილზე ტოვებენ) „ნაციონალ“ რექტორებს და დირექტორებს. ეს წინასაარჩევნო დაპირებებში არ ყოფილა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ქართული ოცნება“ ხელს არ ახლებდა „ნაციონალების“ მიერ დანატოვარ კადრებს.

***— მეცნიერებიც გამოხატავენ შეშფოთებას მეცნიერებაში შექმნილი ვითარების გამო...***

— სააკაშვილის მმართველობის დროს უამრავი ინსტიტუტი გაიყიდა, მეცნიერებათა აკადემია დაიშალა. ის კლუბად გადააკეთეს. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაშალეს, გაყიდეს და ლიკვიდაციაში გაუშვეს. უმაღლესი სკოლის რეფორმირება თავიდანვე არასწორად წავიდა. ამ სისტემაში რაც კარგი იყო, ისიც დაიკარგა.

***— სკოლებში რა ხდება კადრების მხრივ?***

— სამეურვეო საბჭოებს ვადა ამოეწურათ, მაგრამ, მათ ვადა გაუგრძელეს. ამ საბჭოებში 6 მშობელი შედიოდა და 6 მასწავლებელი (დიდ სკოლებში). ისინი „ნაციონალების“ წევრები, კოორდინატორები ან მხარდამჭერები იყვნენ. „ნაციონალმა“ დირექტორებმა ჩაატარეს არჩევნები და სამეურვეო საბჭოებში ისევ „ნაციონალები“ გაიყვანეს. კანონშიც შეიტანეს გაუგებარი ცვლილება.

***— სკოლების დირექტორების კონკურსი ხომ მიმდინარეობს?***

— დიახ. როგორც მეუბნებიან, ბევრ ადგილზე ისევ ის დირექტორები გავიდნენ, რომლებიც თავის დროზე პარტიული ნიშნით დაამტკიცეს. ჯერჯერობით ნახევარზე ნაკლებია გასული. დირექტორების კონკურსი ჯერ არ დამთავრებულა. ბაგა-ბაღებშიც არაფერი შეცვლილა. ეს დაწესებულებები მუნიციპალური დაქვემდებარებისაა. მერიები, გამგეობები „ნაციონალების“ ხელშია და მათ მიერ პარტიული ნიშნით დანიშნულ კადრებს არავინ შეხებია. როგორც აღვნიშნე, ყველა საფეხურზე წინა ხელისუფლების მიერ მხოლოდ პარტიული ნიშნით დანიშნული კადრები დარჩა.

***— ეს იმას ნიშნავს, რომ განათლების სისტემაში ბევრი არაფერი შეიცვლება?***

— ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სისტემა არ დანგრეულა. პირიქით. ამას შეცდომას ვერ ვუწოდებ. ეტყობა, გამიზნულად ხდება ძველი სისტემის შენარჩუნება. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ახლანდელი ხელისუფლება სიხარულით ინარჩუნებს სხვა პარტიის კადრებს. ამ ხელისუფლებაზე რაღაც გაუგონარი ზეწოლა ხდება.

***— საიდან ხდება ზეწოლა?***

— ეს თვითონ მათ უნდა თქვან. ამის მიხვედრა ძნელი არ არის. ზეწოლა ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, იმ ძალებიდან, ვინც სააკაშვილს უჭერდა მხარს. ეს ძალები პოლიტპატიმარს უწოდებენ ვანო მერაბიშვილს. კონკრეტულად როგორი ზეწოლაა, რა რეკომენდაციები, ეს თავად ხელისუფლებამ უნდა თქვას. ფაქტია, რომ არაფერი იცვლება. თუ „ქართული ოცნება“ ამას თავისით აკეთებს და მასზე არანაირი ზეწოლა არ ხდება, ეს მას ცუდად მოუბრუნდება. ისედაც იმატა უარყოფითმა განწყობებმა მმართველი ძალის მიმართ.

***— „ოცნებაში“ აცხადებენ, ჩვენ „ნაციონალებივით“ არ მოვიქცევით და უფრო ჰუმანურები ვიქნებითო...***

— აქ პარტიულ დევნაზე არ არის საუბარი. „ნაციონალებს“ დანაშაული აქვთ ჩადენილი თუნდაც იმ მხრივ, რომ არა პროფესიონალური, არამედ, პოლიტიკური ნიშნით ჰყავთ დანიშნული კადრები განათლების სისტემაში. როგორ შეიძლება მათი შენარჩუნება? ისინი ხომ პროფესიონალები არ არიან? ესენი არიან არაპროფესიონალები, რომლებმაც განათლების ოთხივე საფეხურზე დააგდეს განათლების ხარისხი. ამის ასე ყურება არ შეიძლება. ეს იგივეა, რომ დანაშაულს დააფარო ხელი. მე არ ვამბობ, რომ, ეს კადრები ხელაღებით უნდა გაეყარათ. მაგრამ, აუცილებელი იყო მათი შემოწმება. სახელმწიფო კომისიას უნდა შეემოწმებინა საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა. განსაკუთრებით, ფინანსური, ეკონომიკური საკითხები. სკოლები იქნებოდა ეს, ბაგა-ბაღები თუ უმაღლესი სასწავლებლები. თითოეულ ხელმძღვანელთან დაკავშირებით დასკვნა დაიდებოდა და თუ სერიოზული დარღვევები აღმოჩნდებოდა, საქმეები მთავარ პროკურატურას გადაეცემოდა. მცირე დარღვევების შემთხვევაში ამ პირებს სისტემიდან გაუშვებდნენ. წინა ხელისუფლების დაირღვა განათლების მიღების თანაბრობის, საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უფლება ანუ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციაც და საერთაშორისო ნორმებიც.



**ახლანდელმა მინისტრმა განაცხადა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები სავალდებულო აღარ იქნებოდა. მეც გამიკვირდა, როცა გამოცხადდა რეგისტრაცია გამოცდებისთვის. ეს გამოცდები, გარკვეულწილად, კორუფციის წყარო იყო, მასწავლებლების ჯიბეებიდან იქაჩებოდა ფული ტრენინგებისთვის.**

***— ახლანდელი ხელისუფლება რაღაცას ხომ ცვლის? მაგალითად, სასკოლო ასაკი 6 წლით განისაზღვრა...***

— სააკაშვილის მმართველობის დროს სკოლამდელი ასაკის ბავშვების 80-85 % არ იყო ჩაბმული განათლების ქსელში. ბაღების სისტემა, ფაქტიურად, მოშლილი იყო. ამიტომ დაუშვეს 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღება. იყო სკოლაში 4 წლისა და თვეების ბავშვების მიღების შემთხვევები. ეს წარმოუდგენელია. ასეთი რამ არ შეიძლება. ბავშვები ამის გამო დაავადდნენ. ახლა სამინისტრო ცდილობს, ასწიოს ასაკი 6 წლამდე. თუმცა, წელს ჯერჯერობით გარდამავალი წელია.

***— იმ წლებში, რომელზეც თქვენ საუბრობთ, სკოლებში ძირითად საგნებში საათებიც შემცირდა...***

— მთლიანად შესაცვლელია ეროვნული სასწავლო გეგმა. საათები^ამ გეგმის ნაწილია. საათები შეამცირეს მაშინვე, როგორც სააკაშვილი მოვიდა. ეს იყო აფერა, რომლის შედეგად, სახელმწიფოს განათლებისა და ცოდნისთვის განკუთვნილი მილიარდები დარჩა. ამ „ოპერაციის“ შედეგი იყო უხარისხო განათლება. შესაცვლელია საგნობრივი სტანდარტები და პროგრამებიც. კრიტიკას ვერ უძლებს შეფასების სისტემაც.

***— პედაგოგებზე ითქვა, სხვა კრიტერიუმებით შეფასდებიან და არა სასერტიფიკაციო გამოცდებითო. თუმცა, განათლების სამინისტროს საიტი იუწყება, რომ გამოცდებისთვის მზადებაა...***

— ახლანდელმა მინისტრმა განაცხადა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები სავალდებულო აღარ იქნებოდა. მეც გამიკვირდა, როცა გამოცხადდა რეგისტრაცია გამოცდებისთვის. ეს გამოცდები, გარკვეულწილად, კორუფციის წყარო იყო, მასწავლებლების ჯიბეებიდან იქაჩებოდა ფული ტრენინგებისთვის. ამ გამოცდებზე გამიზნულად ხდებოდა ხალხის ჩაჭრა. ამაში „ნაციონალები“ იყვნენ ჩარეული. მერაბიშვილი შს მინისტრობის დროს კურირებდა სასერტიფიკაციო გამოცდებს და ეხმარებოდა „ნაციონალების“ აქტივისტებს გამოცდების ჩაბარებაში. ახლა უცნაურ დოკუმენტებს აგზავნიან სკოლებში რესურსცენტრები. ისინი აიძულებენ დირექტორებს, მიაწოდონ მასწავლებლების სიები. ამბობენ, თითქოს ამას სამინისტრო ავალებთ. სინამდვილეში, ვიცი, რომ ასეთი დავალება სამინისტროდან არ მოდის. მოვუწოდებ სამინისტროს, ნურაფრის შეეშინდება, გაატაროს რეფორმები და გააუქმოს სააკაშვილ-მერაბიშვილის სასერტიფიკაციო გამოცდები.

# ემზარ კვიციანი დააკავეს

შორენა მარსაგიშვილი

**8 წლიანი განშორების შემდეგ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი საქართველოში დაბრუნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. ეს დაკავება არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მათ შორის, არც ემზარ კვიციანისთვის.**

კვიციანმა საქართველოში დაბრუნების უფლება სასამართლოს დახმარებით მოიპოვა. მან რუსეთის ხელისუფლებას უჩივლა და სასურველი დეპორტი მოიპოვა. ის საქართველოში 27 თებერვალს უნდა დაბრუნებულიყო. თუმცა მას იმ დღეს პრობლემები შეექმნა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას საბუთები წესრიგში არ ჰქონდა.

ეს პრობლემა მან გუშინ მოაგვარა და სამშობლოშიც დაბრუნდა. აეროპორტში მას უამრავი ადამიანი დახვდა. თუმცა მათ კვიციანის ნახვა ვერ მოახერხეს. ის სამართალდამცავებმა მაშინვე დააკავეს.

მის დაკავებას ყველა გაგებით მოეკიდა. მათ შორის მისი და ნორა კვიციანიც. რომელიც წინა ხელისუფლებამ 6 წლით ჩასვა ციხეში.

— მთავარია, ემზარი სახლშია. აწი არა-



ფერზე აღარ ვნერვიულობ, დარწმუნებული ვარ, რომ ემზარი თავის სიმართლეს დაამტკიცებს, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ნორა კვიციანმა.

როგორც ყოფილი რწმუნებულის ადვოკატმა განაცხადა, რომელიც ასევე აეროპორტში იმყოფებოდა, მისთვის დაკავების ოქმი არ გადაუციათ.

კვიციანის მიმართ სისხლის სამართლის დევნა ორ საქმეზე მიმდინარეობს და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული. იგი 2006 წლის ივლისის ბოლოდან სამხედრო ამბოხებების და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდებით იძებნებოდა.

მასთან დაკავშირებით კომენტარი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემაც გააკეთა.

— არც ერთი ხელისუფლება არ უნდა უპირისპირდებოდეს თავის ხალხს ისეთი ფორმით, რომ ეს იყოს უზურპაციის მსგავსი, — განაცხადა ფოფხაძემ.

მისი თქმით, კვიციანი პატრიოტი ადამიანია და კოდორში განვითარებული მოვლენები გარკვეულწილად მაშინდელი ხელისუფლების პროვოცირებული იყო.

— მე მიმაჩნია, რომ ემზარ კვიციანი ჩამოდის კეთილი ნებით. მას აქვს გარკვეულ კითხვებზე პასუხი. ის კონკრეტული მოვლენები, რომელსაც კოდორში ადგილი ჰქონდა, მნიშვნელოვნად იყო მაშინდელი ხელისუფლების მიერ პროვოცირებული და არა მგონია, რომ ემზარ კვიციანი არის ქართული სახელმწიფოს მტერი ან მოღალატე. ამ ადამიანმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ კოდორი საქართველოს ტერიტორია იყო. ეს ადამიანი შინაგანად არის პატრიოტი, რომელიც იბრძოდა საქართველოსთვის. იმ კონკრეტული ფაქტის მიმართ შესაძლოა კითხვის ნიშნები არსებობდეს, მაგრამ ხელისუფლებამ თავისი მოქალაქე არ უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომ იარაღით ხელში დაუპირისპირდეს. თუმცა, თუ სამართლებრივად მივუდგებით, რაც მან გააკეთა, ეს არის დანაშაული, მაგრამ რეალურად უფრო დიდი დანაშაულია ის, რაც გააკეთა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როდესაც თავისი უგუნური პოლიტიკით კოდორის ხეობა დაკარგა, — განაცხადა „რეპორტიორის“ პრეს-კლუბში გედევან ფოფხაძემ.

# მირონ ფირცხელანი: ხუდონჰესის აშენებით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნება“

## რა შემთხვევაში გადმოიწევს კავკასიონზე საზღვარი 150 კილომეტრით

შორენა მარსაგიშვილი

**ხუდონჰესის გარშემო ვნებათაღელვა არ წყდება. ექსპერტების ნაწილი, რომელიც აქამდე ამ პროექტის სიავეებზე საუბრობდა, ახლა სხვანაირად აჭიკჭიკდა. ბეჭდური თუ ელექტრონული მედიით ყოველდღე ავრცელებენ ცნობებს, თუ როგორი საჭიროება საქართველოს ეს ჰესი. გვიმტკიცებენ იმასაც, რომ სოფლების, სასაფლაოებისა და ეკლესიების დატბორვა არაფერია.**

ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად, ინვესტორი მათთან მოსალაპარაკებლად არ მისულა, რაც გარკვეულ ეჭვებს აჩენს. არის ვარაუდი, რომ ამ ავადსახსენებელი პროექტის უკან რუსები დგანან.

რატომ არის ინვესტორის წარმომავლობა საეჭვო, რა საფრთხეებს შეიცავს ხუდონჰესის აშენება, რას დაკარგავს საქართველო ამით და რა ექსპერიმენტის ჩატარებას ურჩევენ სვანები პროექტის მომხრეებს, ამ თემებზე „ახალ თაობას“ ენერგეტიკოსი მირონ ფირცხელანი ესაუბრება.

**მირონ ფირცხელანი:**

— რამდენიმე დღის წინ გაიმართა კიდევ ერთი კონფერენცია ხუდონჰესთან დაკავშირებით. იქ ბევრი ადამიანი გამოვიდა და ამ პროექტის განხორციელების აუცილებლობაზე ისაუბრეს. ამ ადამიანებს იქაც ვუთხარი და ახლაც გავუმეორებ, თქვენ ამბობთ, რომ საქართველოში წყალუხვი მდინარეები გვაქვს და უნდა ავითვისოთ. გეთანხმებით, მაგრამ რით განსხვავდება სვანეთში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა თბილისში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისგან? კონსტიტუციის თანახმად, ვინმე მეტყვის განსხვავებას? მაშინ ჩვენ ვამბობთ — ჩვენ ვსვამთ კითხვას — საქართველოში რომელია ყველაზე დიდი წყალუხვი მდინარე? მგონი, დიდი გამოცნობა არ უნდა, რომ ეს არის მტკვარი. მოდით, მაშინ, თუ მოსახლეობას არ აქვს მნიშვნელობა, როგორც მიმტკიცებენ, რომ სვანები უნდა გადასახლდნენ იმისათვის, რომ ქვეყანას, სახელმწიფოს ასე სჭირდება, მაშინ, მოდი, გავაკეთოთ ასე და ეს თეორიულად დამუშავებულია: აგერ ნარიყალა, ორთაჭალაში, 200-მეტრიანი კაშხლის აშენების შემთხვევაში, 4 ათასი მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურს მივიღებთ... მაგრამ უნდა გადასახლდეს იქიდან მოსახლეობა. თანახმანი იქნებიან თბილისელები, რომ მიატოვონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები? თავიანთი ეკლესიები? თავიანთი სასაფლაოები? და კიდევ მეორე, გვიმტკიცებენ, რომ, აი, ჩვენ რომ მოგვთხოვოს სახელმწიფომ, ჩვენი პირადი ქონება, ჩვენი საფლავები დავთმოთ, დავთმობთო... მაშინ, მოდი, ჯერ თქვენ გვიჩვენეთ მაგალითი. როდესაც საუბარია ფასეულობებზე, მათ მოფრთხილებასა და დაცვაზე, სვანეთში ეკლესია იტბორება და მაინტერესებს, რამდენ მილიონად შეიძლება უღირდეს სახელმწიფოს იმავე სვეტიცხოველის დატბორვა.

***— ბოლო პერიოდში თითქმის ყოველი მეორე ექსპერტი თუ პოლიტიკოსი ხუდონჰესის თემაზე საუბრობს. გასაგებია, რომ ეს თემა აქტუალურია და ამაზე საუბარი ცოდვა არ არის. თუმცა თვალშისაცემი სხვა რამეა. ამ პროექტის აუცილებლობაზე ის ხალხიც კი ალაპარაკდა, რომლებიც რამდენიმე თვის წინ ამის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. რამ „გაუნათა“ ამ ხალხს გონება?***

— „ტრანსელექტრიკამ“ დაინახა, რომ ამ პროექტის განხორციელებას საზოგადოების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა. გადაწყვიტა, დამატებითი ზომებისთვის მიემართა. ამ საქმეში ჩართეს ის ხალხი, რომლებიც აქამდე ჰესის აშენებას ეწინააღ-



მდეგებოდნენ. საუბარია როგორ ენერგეტიკის ექსპერტებზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილზე. ძალიან მწყდება გული, რომ ამ ხალხმა ასე უცბად შეიცვალა პოზიცია. აშკარაა, რომ ეს რაღაცის ხარჯზე მოხდა.

***— რის ხარჯზე, ბატონო მირონ?***

— იმის დამამტკიცებელი დოკუმენტი არა გვაქვს, რომ მათ ფინანსური დაინტერესება ამოძრავებთ. მაგრამ ვხედავთ, ამ საეჭვო კამპანიის ინტერესებს იცავენ და ყველაფერს აკეთებენ, რომ მიზანს მიაღწიონ. ამ საკითხზე უამრავი შეხვედრა და კონფერენცია ჩატარდა, სადაც სპეციალისტებმა კარგი დასკვნები დადეს. დასკვნებში წერია, რომ ინვესტორ კომპანიას მოყვანილი აქვს არაზუსტი ციფრები. სერიოზული უზუსტობებია როგორც ეკონომიკურ ნაწილში, ასევე უსაფრთხოებაში. ლაპარაკს მაინც არ ეშვებიან. ბუნებრივია, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ამას ვიღაცის დავალებით აკეთებენ. ასე პატიოსანი ინვესტორი არ იქცევა.

***— აბა, როგორ იქცევა პატიოსანი ინვესტორი?***

— ის ყოველთვის თავად მიდის საზოგადოებასთან და მათთან ერთად მსჯელობს ყველა საკითხზე. ამათ რა გააკეთეს, ჩუმად გააფორმეს ხელშეკრულება ხელისუფლების ვიწრო წრესთან. ამ შემთხვევაში წინა ხელისუფლებაზე ვსაუბრობ. მათთან შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რითაც უარყვეს საქართველოს კონსტიტუციის მესამე და ორგანული კანონის რამდენიმე მუხლი. აქედან გამომდინარე, ეს შეთანხმება ცუდი შედეგით დასრულდება. ყველა შეხვედრაზე ამ ე.წ. ინვესტორს ვუხსნით, რომ ასეთი ძალადობით ხალხის მოტყუება უზნეობაა. იმასაც ვეუბნებით, რომ თავისას მაინც ვერ გაიტანენ, არ გამოუვათ! თვალშისაცემია, რომ განსაკუთრებით ის ხალხი აქტიურობს, რომლებიც ენერგეტიკაში შევარდნაძის დროს მუშაობდნენ და რუსეთთან მჭიდრო კავშირები აქვთ. აქედან გამომდინარე, ნათლად იკვეთება, რომ ამ პროექტის უკან რუსეთის ინტერესები დგას. დღემდე არ ასახელებენ, თუ ვინ დებს კაპიტალს ამ მშენებლობაში.

***— ხომ დაასახელეს ვიღაცები?***

— დღეს ერთს ამბობენ, ხვალ მეორეს... ახლახან ძალიან საინტერესო ინფორმაცია გახდა ცნობილი. ისეთმა დიდმა ბანკმა, როგორიც არის „იბიარდი“, ამ მშენებლობაში ფულის დაბანდებაზე უარი განაცხადა. რუსული კვალი სხვა მიმართულებითაც იკვეთება. ამხელა გიგანტის აშენებას აპირებენ და ამ დროს დაპროექტებულიც კი არ არის, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ელექტროენერგიის გატანა.

***— იქ ხომ არის ელექტროგადამცემი ხაზი.***

— კი ბატონო, იქ არის გადამცემი ხაზი „კავკასიონი“, რომელიც სოფელ საბერიოდან, სვანეთის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის. ეს ხაზი გახლავთ რუსეთის დაქვემდებარებაში. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ გაატარებინებს რუსეთი უცხოელს თავის გადამცემ ხაზებში მილლიარდ-ნახევარ კილოვატ საათს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისთვის ამ ხაზების გამოყენება იგეგმება?***

— წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ უნდა არსებობდეს გადამცემი ხაზის პროექტი? ამხელა გიგანტის აშენებას აპირებენ და ეს არ გაითვალისწინეს. ძალიან კარგად გაითვალისწინეს. ისინი მალავენ, რომ „კავკასიონის“ გამოყენებას აპირებენ, რაც იმის დადასტურებაა, რომ ამ მშენებლობის უკან რუსეთი დგას. ასევე გაბერილია მშენებლობისთვის საჭირო თანხის ოდენობაც.

***— რას გულისხმობთ?***

— მითითებულია, რომ ამ პროექტის განხორციელებისთვის უნდა დაიხარჯოს მილიარდ 200 მილიონი. ეს არის არარეალური თანხა. საერთაშორისო ბაზარზე 700- მეგავატიანი ჰესის აშენებას სჭირდება 700 მილიონი დოლარი. საინტერესოა, რატომ მიუთითებენ დოკუმენტებში ორჯერ მეტ თანხას.

***— თქვენი აზრით, რა ხდება?***

— ერთი მხრივ, აშკარა კორუფციასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორე მხრივ ხელოვნურად არის გაზრდილი ფასები. ეს იმისთვის კეთდება, რომ ამ ტენდერში სხვა ნორმალურმა ინვესტორმა მონაწილეობა ვერ მიიღოს. სამხედრო თვალსაზრისითაც სერიოზული მინიშნებებია. ეს კაშხალი კოდორის ხეობაში მდგარი რუსული ჯარის სიახლოვეს შენდება.

***— რამდენია მანძილი?***

— დაახლოებით 7 კილომეტრი. მითხარით, რომელი ნორმალური უცხოელი ინვესტორი ჩადებს მილიარდიან ინვესტიციას იქ, სადაც აშკარად იკვეთება რუსული ინტერესები, მით უმეტეს, რომ თავისი კანონმდებლობით რუსეთს გადამცემი ხაზების დასაცავად ენგურის ხეობაში ჯარების შეყვანა შეუძლია. სამხედრო ექსპერტებმა არაერთხელ მიუთითეს, რომ ხაიშის კვანძის მოსახლეობისგან გათავისუფლება რუსეთის ინტერესებში შედის.

***— და რა ინტერესი აქვს ამ მხრივ რუსეთს?***

— ხაიშის კვანძის გათავისუფლება მათ გზას უხსნის ლენტეხი-ონის მიმართულებით. კვაისაში ისედაც რუსები დგანან და მოხდება მათი შეერთება. ამით კავკასიონზე საზღვარი 150 კილომეტრით სამხრეთით ჩამოიწევა. ამ საფრთხესთან დაკავშირებით „გენერალთა კლუბმა“ საკმაოდ საფუძვლიანი დასკვნა დადო. ამასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებსაც მივმართეთ. მოვითხოვეთ, რომ ამ საქმის გამოძიება მომხდარიყო.

***— პასუხად რა მიიღეთ?***

— დღემდე ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია. შესაბამისად, არც ის ვიცით, აპირებენ თუ არა ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებას. არადა, შეიძლება, ქვეყანამ ტერიტორიები დაკარგოს. ეს საქართველოსთვის კატასტროფა იქნება. ეს ხელისუფლებაც თუ ტერიტორიების დაკარგვას აპირებს, მაშინ გაუგებარია, რატომ აქვთ პრეტენზიები სააკაშვილთან. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში საქართველო სერიოზულად დაზარალდება.

***— გამოსავალი რა არის? ხელისუფლება აშკარად უჭერს მხარს ამ პროექტის განხორციელებას.***

— სამწუხაროდ, ხელისუფლება ინვესტორის მხარეს იჭერს და ქვეყნის ინტერესები არაფრად მიაჩნია. თავიანთ პოზიციას უსუსური არგუმენტებით ასაბუთებენ. გამოსავალი აქ ერთია, საზოგადოებამ ეს ყველაფერი უფრო აქტიურად უნდა გააპროტესტოს. ჩვენ დღეს ისე გვჭირდება ერთიანობა, როგორც არასდროს. დღეს რასაც ხაიშის მოსახლეობა აკეთებს, არის გმირობა. ხაიშის მოსახლეობა დღეს საქართველოს გადარჩენისთვის იბრძვის. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ კაშხლის აშენების შემთხვევაში ენგურისა და ხუდონის წყალსაცავში გროვდება მილლიარდ-ნახევარი კუბური მეტრი წყალი, რომელიც ნებისმიერი ავარიის შემთხვევაში მთელ დასავლეთ საქართველოს კატასტროფამდე მიიყვანს. ფაქტობრივად, მოსახლეობა ჩადის შავ ზღვაში, წაილეკება იქაურობა. ჩვენ ვსვამთ კითხვას, რატომ გადადის ქართული ენერგეტიკა რუსების ხელში. ეს საქმე დაიწყო წინა ხელისუფლებამ და ახალიც იმავეს აგრძელებს. დღეს საქართველოში არსებული ელექტროსადგურების 90 პროცენტი მათი საკუთრებაა. გამანაწილებელი კომპანიები მათი საკუთრებაა. ბუნებრივია, მოგების წელი მიდის რუსეთში. მაინტერესებს, რატომ არ არღვევს ახალი ხელისუფლება იმ ხელშეკრულებებს, რომელიც მისმა წინამორბედმა კანონის დარღვევით გააფორმა. ასევე მაინტერესებს, რატომ არ მოქმედებს ანტიმონოპოლიური სამსახური ენერგეტიკაში. უამრავი კითხვა არსებობს. ერთი რამე კი ნათელია, ხუდონის აშენება საქართველოს სარგებელს არ მოუტანს. ამ პროექტის განხორციელებას საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი უპირისპირდება. სამწუხაროდ, ეს ხმა ჯერ არავინ შეისმინა. არა უშავს, საპროტესტო განწყობა სულ უფრო მასშტაბური ხდება. ამ პროტესტს არანაირ ყურადღებას არ აქცევს არც ხელისუფლება და არც ინვესტორი კომპანია, რაც მათ ძალიან ცუდად დაუბრუნდებათ. სვანეთი ხუდონჰესის აშენებას არ დაუშვებს! ხალხმა ხატზე დაიფიცა და ფიცს არავინ გატეხს.

***— ხატზე დაფიცება ერთგვარი სალაღაო თემაც კი გახდა.***

— ეს მეორე უბედურებაა. ისინი ვერც კი ხვდებიან, რას ნიშნავს, როცა სვანი ხატზე დაიფიცებს. ზემოთაც გითხარით და ახლაც მოგახსენებთ, რომ თავიანთი პროტესტით ხაიშელები საქართველოს უსაფრთხოებას იცავენ.

***— და რა მოხდება, ხელისუფლებამ თუ მაინც დაიწყო ამ პროექტის განხორციელება?***

— კარგი არაფერი. ხალხი უკან არ დაიხევს. ამ ბრძოლაში მთელი საქართველო ერთად დადგება. ერთად დგომას კი დიდი ძალა აქვს.

# რომან გოცირიძე: ეროვნული ბანკს სამიანს დავუწერდი“

შორენა კოწოწაშვილი

რა ხარვეზი აქვს მთავრობას საბიუჯეტო კუთხით, რითი სჯობია მთავრობის 2014-2020 წლის ეკონომიკური განვითარების პროგრამას ბიზნეს-ასოციაციის პროგრამა და რატომ არის ამ პროგრამების შეჯერება აუცილებელი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტთან, ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელ რომან გოცირიძესთან.

– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებას? ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ეს არ არის კოლაფსი, თუმცა ნაციონალური მოძრაობა ყველაზე მეტად ხელისუფლებას სწორედ ეკონომიკის კუთხით აკრიტიკებს და ივანიშვილის კოალიციას ბრალს სდებენ ქვეყნის ეკონომიკურ კოლაფსამდე მიყვანაში.

– ყოველთვის არსებობს მთავრობის ლოგიკა და ოპოზიციის ლოგიკა. სანამ არსებობს პოლიტიკური კონკურენცია, ეს ლოგიკა ყოველთვის იარსებებს და გამოიხატება ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებში. ოპოზიციას ტრადიციულად არ მოსწონს მმართველი ხელისუფლების პოლიტიკა და აკრიტიკებს მას, თვალს ხუჭავს კარგზე და აზვიადებს ცუდს. ხელისუფლება პირიქით, ოპოზიციას ადანაშაულებს უსამართლო კრიტიკაში, გვერდს უვლის ცუდს და აზვიადებს კარგს. განვითარებული დემოკრატიის პირობებში, სადაც მეტია საზოგადოების ინფორმირებულობა, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებში ამომრჩევლის განსწავლულობა, რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებს ვერ შევხვდებით, ვინაიდან ამომრჩეველი არ აპატიებს არც ერთ პოლიტიკურ ძალას თვალშისაცემ ტენდენციურობას. ჩვენთან კი, ტრადიციულად, არის დაუსაბუთებელი სიცრუე როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან. ასე რომ, ეკონომიკაში არც განსაკუთრებული კოლაფსია და არც განსაკუთრებული წინსვლა.

– ანუ კრიტიკა გაზვიადებულია იგივე ეკონომიკური ვარდნის ირგვლივ?

– ერთია, რომ შეიმჩნევა აშკარად დადებითი მოვლენა ბიზნესის წნეხისგან გათავისუფლების კონტექსტში. მეორე მხრივ, ნეგატიურად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არ არის განსაზღვრული და არ იგრძნობა მმართველი ძალის ეკონომიკური ხედვა. ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები აქვთ მმართველ გუნდში, როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში.

– რამდენად სწორი მიდგომა აქვს ხელისუფლებას ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით? ექსპერტების ნაწილმა უკვე გამოთქვა შენიშვნები მთავრობის 2014-2020 წლების პროგრამის ირგვლივ.

– რა თქმა უნდა, ხელისუფლება გაცილებით უკეთეს ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს, ვიდრე მისი საარჩევნო პროგრამაა. ეს უკვე სხვა თემაა. ისევე, როგორც წინა ხელისუფლების საარჩევნო პროგრამა და შემდეგ მთავრობის უკვე რეალური სამოქმედო გეგმა, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ეს ნიშნავს მოსახლეობის მოუმწიფებლობას, არჩევნების პროცესში პარტიების პროგრამების შეფასების თვალსაზრისით. ყველას მოსწონს ლამაზი დაპირებები და ცისფერი კოშკები. კლასიკური ნიმუში, თუ რა არის საარჩევნო პროგრამა და მისი ანტიპოდი – მთავრობის პროგრამა ახლახან გამოქვეყნებული დოკუმენტების შედარებიდან შეგვიძლია გავიგოთ. პოპულისტური დაპირებების ტყვეობაში ამომრჩევლის მოქცევა ყოველთვის იყო საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი. ორივე პროგრამა გამოირჩეოდა ასეთი მიდგომებით. ნაციონალური მოძრაობაც აპირებდა ყველასთვის 1000-1000 ლარის დარიგებას. რატომ უნდა დაურიგო 1000 ლარი ღარიბსაც და მდიდარსაც ისევე, როგორც, რატომ უნდა მისცე დენის ვაუჩერი, მაგალითად, თბილისში გაჭირვებულ ადამიანს, რომელსაც ეს მართლა სჭირდება და იმ ადამიანს უხდიდე დენის გადასახადს, რომლის შემოსავალი საკმაოდ მაღალია და ზოგიერთის – ძალიან მაღალი. ნაცვლად იმისა, რომ მიზნობრივად მიმართო შენი ფინანსური რესურსები ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, ან ამა თუ იმ სოციალური ფენის დასახმარებლად. პროგრამა, რომელიც შექმნა მთავრობამ 2020 წლამდე და, რომ დავდოთ პროგრამა, რომელიც იყო საარჩევნო, ეს პროგრამები ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა.

– ანუ ივანიშვილმა რომ თქვა, იმაზე მეტს აკეთებს მთავრობა, ვიდრე დაპირება იყოო, ასეა?

– ის პროგრამა იყო სოციალურ-პოპულისტური. ახალი პროგრამა არის ეკლექტური, მაგრამ ძალიან განსხვავებული. რა თქმა უნდა, მთავრობის ახალ პროგრამაში მეტია ლიბერალური, საბაზრო იდეები. ამავე დროს შიგადაშიგ მაინც ჩანს გამთანაბრებლობისკენ მიდრეკილება. თავისთავად ინკლუზიურის ცნებას კი არ ვედავები, არამედ მასზე განსაკუთრებულს. ეს ნიშნავს ლიბერალური ეკონომიკური განვითარების გზიდან გადახვევას, არა შექმნაზე, არამედ განაწილებაზე აქცენტის გადატანას. ზრდის შედეგის ყველა სოციალური ფენისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობაა. ეს არის განმანაწილებლობითი კონცეფცია – ანუ როგორ გავანაწილოთ ტორტის ნაჭრები სამართლიანად. რაღაც შვედური სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მსგავსი მოდელი; ლიბერალური მოდელი ნიშნავს, როგორ შევქმნათ, რაც შეიძლება დიდი ტორტი, რომელშიც გამანაწილებელი როლი კი არ იქნება მთავარი, არამედ ყველას ექნება შანსი, რომ რაც შეიძლება დიდი ნაჭრის მიღება შეძლოს საკუთარი შრომით სახელმწიფოს გამანაწილებელი ფუნქციის ჩარევის გარეშე. მე იმის თქმა მინდა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ლიბერალურიდან გადაიხარა სოციალურად ორიენტირებულისკენ. სოციალურად ორიენტირებული შეიძლება ვიღაცის თვალში ნიშნავდეს მეტ ზრუნვას ადამიანზე, მაგრამ, სადაც სოციალურად ორიენტირებული მიდგომებით დაიწყო, იმ ქვეყნებში სწორედ სოციალური პრობლემები სჭარბობდა ხოლმე. შექმნა არის მთავარი და არა განაწილება. განაწილებითი ფილოსოფია ჩანს ერთი მხრივ, ბიუჯეტში, სადაც არის სუბსიდიები, ძალიან ბევრი სოციალური პროგრამა და ა.შ. ზოგი რამ შეიძლება სულაც არ იყოს ცუდი, იმ შემთხვევაში, თუ ეს პროგრამები ფინანსდება ეკონომიკის რეალური შესაძლებლობიდან ანუ თუ არის დაბალანსებული ჯანსაღი საშემოსავლო ბაზით, ანუ გადასახადებით. დღეს ჩვენი შემოსავლების 18% არის სესხები. ეს არის დიდძალი უცხოური კრედიტები და მთავრობის მიერ აღებული შიდა ვალი სახაზინო ვალდებულებების განთავსების სახით. თუ ხარჯვით ნაწილში შეიძლება იდავო, არის თუ არა პირდაპირი სოციალური თუ ხვნათესვის პროგრამები ეფექტური, მეორე მხარეა, გაქვს თუ არა ყოველწლიური მუდმივი საშემოსავლო ბაზა ამ პროგრამების შესასრულებლად. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საგარეო ვალის აღება შეფერხდა, ან შიდა ვალის აღების რესურსი ამოიწურა, თუნდაც იმიტომ, რომ მთავრობა ძალიან დიდი რაოდენობის სახაზინო ვალდებულებებს ათავსებს.

– პრემიერი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ის მთავრობის ეკონომიკური გუნდით უკმაყოფილო არაა. თქვენ რა შენიშვნები გექნებოდათ და რამდენად ქმედუნარიანია ეს გუნდი?

– მე არ ვიტყოდი, რომ ეს არის არაქმედუნარიანი გუნდი. ასე ვერ შევაფასებდი. ვფიქრობ, მთლიანად ეკონომიკური გუნდის მუშაობა როგორც ფისკალური ანუ საბიუჯეტო, საგადასახადო, ასევე მაკროეკონომიკური, ასევე დარგობრივი და მონეტარული, რომელსაც ეროვნული ბანკი მართავს, მე დავუწერდი 3-ს პლუსით. იმიტომ, რომ იყო სერიოზული ჩავარდნა ბიუჯეტში, რაც გამოიხა-



ტება 600 მლნ-იან გარღვევაში, რომელმაც თავი შემდგომ უკვე ლარის ვარდნაში იჩინა.

– სწორი მიდგომა აირჩია ფინანსთა სამინისტრომ ეროვნული ბანკის ქმედებებთან მიმართებაში ლარის ვარდნის პროცესში? ფინანსთა მინისტრის განცხადებები ყოველთვის იყო კრიტიკის ქვეშ. სწორად აფასებს მინისტრი ხადური იმას, რაც რეალურად ხორციელდება?

– მე მოვისმინე ნოდარ ხადურის სატელევიზიო გამოსვლა. ჟურნალისტებმა დასვეს არასწორი შეკითხვა, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, ლამაზად აევლო გვერდი სიმართლის თქმისთვის. შეკითხვა იყო ასეთი: მართალია თუ არა, რომ რადგან შემოსავლების გეგმა ვერ შესრულდა, ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსებულ იქნა ეროვნული ბანკის მიერ? ბუნებრივია, ხადურმა გასცა ის პასუხი, რასაც ნებისმიერი გათვითცნობიერებული ადამიანი გასცემდა. საქართველოს კანონმდებლობით ეროვნულ ბანკს ეკრძალება ბიუჯეტის პირდაპირი დაფინანსება. ხადურმა სწორადაც თქვა, რომ არ მომხდარა. ნათქვამია, ეშმაკი დეტალებშია დამარხულიო. ჟურნალისტს შეკითხვა ასე უნდა დაესვა, მართალია თუ არა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდა ეროვნულ ბანკში არსებული მთავრობის რეზერვებიდან, ფულადი ნაშთებიდან. ეს ნაშთები დაახლოებით 1 მლრდი ლარი იყო. ეს თანხები გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი ვერ შესრულდებოდა, არამედ ბიუჯეტის შესრულების პირობებში ამ ნაშთებით უნდა მომხდარიყო, მაგალითად, წელს, ძალიან პიკური პერიოდი გვიდგას საგარეო ვალების გასტუმრებისა, და აი, ამის წასაშველებლად. სწორედ ამისთვის არის ეს რეზერვები. ამის ნაცვლად დეკემბერში მიმოქცევაში დამატებით 400 მლნ ლარი გავიდა და ფულის მასა გაიზარდა. თუ საშუალო წლიური მატება ფართე ფულის, ე.წ. მ2 იზრდებოდა 15-17%-ით, დეკემბერში უკვე ის 38%-ს მიუახლოვდა. ეროვნული ბანკი პარალელურად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყოველ ხუთშაბათობით 400-500 მლნ-ს აძლევდა კომერციულ ბანკებს რეფინანსირების სესხების სახით. რომ შევაჯამოთ: ეკონომიკაში ბიზნესის თავისუფლების კონტექსტში მთავრობის პოლიტიკა იყო დადებითი. ბიუჯეტის კონტექსტში იყო უარყოფითი. ეკონომიკური ზრდის და ინვესტიციების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ იყო ოპტიმალური, ხოლო რატომ არ იყო, აქაც ინტერპრეტაციის საკითხია. ოპოზიცია ამბობს, რომ ეს იყო ხელისუფლების უნიათობის ბრალი, ხოლო ხელისუფლება ამბობს, რომ ეს იყო ოპოზიციის მხრიდან ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისა და საერთაშორისო არენაზე და ინვესტორების წინაშე არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნის შედეგი. მიმდინარე წელს უკვე ვერ მოხერხდება ერთმანეთზე გადაბრალება. კვლავაც მიმაჩნია, რომ მონეტარულ და ფისკალურ სტაბილურობას თუ რაიმე დაემუქრება, ეს არის ბიუჯეტი. არა მგონია, რომ უცხოური ვალუტის შემოდინების კუთხით შეფერხებები იყოს. თანაც, ისეთი პირი უჩანს, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტიც გარკვეულწილად შემცირდება. მთელი ყურადღება ბიუჯეტის რიტმულ აღსრულებაზე უნდა იქნას გამახვილებული.

– ექსპერტების ნაწილი გარკვეულ საბოტაჟის ნიშნებზეც საუბრობს.

– საერთოდ, საბოტაჟის ცნება არის სისულელე. საბოტაჟის განხორციელება შეუძლია ძალიან ორგანიზებულ და ძალიან კონსპირაციულ ძალას. თანაც მიზანიც უნდა იყოს ლოგიკასთან ახლოს. საქართველოში კონსპირატიული არაფერია. ყველამ ყველაფერი იცის, არაფერი იმალება. ჟურნალისტები ყველაზე ადრე ხდებიან ინფორმირებულები, რადგან თქვენთან ჭორაობა ტრადიციად ჩამოყალიბდა. ყველაფერი იცით, რა ხდება მთავრობაში, პარლამენტში. ხშირად იმდენად არის გამჭვირვალე ყველაფერი, რომ საკმარისია რაღაც მოხდეს, რომ მეორე წუთში სოციალურ ქსელში დევს. საბოტაჟების თეორიას მე არასდროს ვიზიარებდი. რა თქმა უნდა, პოლიტიკური კვანტების დადება ხდება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდანაც. ამის გაზვიადება, გააბსოლუტურება და შეთქმულების თეორიის კონტექსტში მოხსენიება, არასწორია.

– თქვენი ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამაში დევს აგრეთვე ეკონომიკური პროგრამების შემუშავება. ორგანიზაციის პრეზენტაციაზე განაცხადეთ, რომ იქნებოდით ხელისუფლების კრიტიკოსი, ოღონდ არაჩასაფრებულის პოზიციიდან და კეთილი მრჩეველი. ამ ეტაპისთვის უკვე გაქვთ შესათავაზებელი წინადადებები და სად აქვს მთავრობას ყველაზე მეტად სუსტი მხარეები?

– ჩვენს წესდებაში გვიწერია, რომ პროგრამებზეც ვიმუშავებთ. თუმცა ერთი დამაფიქრებელი მომენტი მოხდა ამ დღეებში და ხანდახან მიჩნდება კითხვა, ღირს თუ არა ეკონომიკის გრძელვადიან პროგრამებზე მუშაობის დაწყება, თუკი ეს პროგრამა არ იქნება მთავრობისთვის მისაღები (ვგულისხმობ ბიზნესასოციაციის პროგრამის უგულებელყოფას მთავრობის მხრიდან). თუმცა ამის საპირისპირო პასუხი ასეთია: მაშინ არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროგრამას, აზრი არ უნდა ჰქონდეს, თუ ამას მთავრობა არ გაიზიარებს. ეს პროგრამები დგება არა მხოლოდ მთავრობისათვის, არამედ საზოგადოებისთვის, ექსპერტებისათვის. თუ საზოგადოება დაინახავს, რომ ეს პროგრამა არის ის, რომელიც მთავრობის აზრს ემთხვევა, მაშინ მთავრობას ექნება ნდობის მეტი ვოტუუმი. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, ნებისმიერი ეკონომიკური პროგრამის განსახორციელებლად და წინსვლისათვის. საკმარისა გაჩნდეს სკეპტიციზმი ხელისუფლების გეგმისადმი, რაგინდ კარგი გეგმა არ იყოს, დაიწყება მისი განხორციელების პროცესში პრობლემები. კარგავს მთავრობა თავდაჯერებულობას და რწმენას. რატომ ვამბობ ამას, იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნე, პარალელურად გამოვიდა ბიზნესასოციაციის ანალოგიური პროგრამა 2020 წლისათვის. მე როგორც პრესიდან და ტელევიზიიდან ვიგებდი, იმ პროგრამის განხილვაში მთავრობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ და თანამშრომლობდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთავრობამ გამოაქვეყნა საკუთარი პროგრამა და დაიწყო ამ პროგრამის აგიტირება. წავიკითხე პროგრამა და ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ბიზნესასოციაციის პროგრამა სჯობია. გამიკვირდა. იმიტომ, რომ ბიზნესს აქვს საკუთარი ინტერესი. მისი პროგრამა უფრო ორიენტირებულია ამ მიმართულებით, ვიდრე ბიზნესისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსებაზე. ანუ მათი მიკროინტერესები მოდის მაკროინტერესებთან წინააღმდეგობაში. აქ ასეთი რამ არ იგრძნობა. უცხოელ სპეციალისტებთან ერთად შეუქმნიათ. იგი არის კონცეპტუალურად უფრო შეკრული. უფრო ლიბერალურია, ვიდრე სამთავრობო (აქაც არ არის გვერდი ავლილი ე.წ. ინკლუზიურ ზრდაზე, ანუ სიმდიდრის შექმნის პრიორიტეტის ნაცვლად აქცენტის მის სამართლიან განაწილებაზე, მაგრამ ზედმეტად მომაბეზრებლად არ არის წარმოჩენილი). მთავრობის პროგრამა არ არის ცუდი. აქვს ლაფსუსები გათვლებში, შესრულების კრიტერიუმებში ზედმეტად ეყრდნობა ისეთ კოეფიციენტებს, რომლის სტატისტიკური სანდოობა დაბალია. მიუხედავად ამისა, ეს არის ჯერ მხოლოდ პროექტი და კარგია, რომ საჯარო განხილვები ეწყობა. ამ ორივე პროგრამის გაერთიანება შეიძლება.

– ანუ ფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება ბიზნესმენების და მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის შეჯერება მოხდეს?

– კი. ეს მთავრობას არ აკნინებს. ეს არ ულახავს მას პრესტიჟს, რომ ვიღაცამ ვიღაცაზე უკეთესად გააკეთა. პირიქით, ეს მიუთითებს მთავრობის მოქნილობასა და საზოგადოებრივ სექტორთან მისი თანამშრომლობის გახსნილობაზე.

– ბატონო რომან, მთავრობის მოუქნელობის ბრალია, რომ ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება შეჩერდა?

– ვერ ვიტყვი, რომ შეჩერდა, უფრო ზუსტი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ შემცირდა. არის თუ არა ეს ტენდენცია, ამას მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლოს დავადგენთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს არჩევნების შემდგომი პერიოდით იყო განპირობებული. კიდევ ერთი საკითხი, რაც მთავრობის პროგრამამ არ უნდა დაუშვას! ეს არის რეგულაციებისადმი რწმენის ტენდენციის გაჩენა. უკვე დაიწყეს საბაჟო ტარიფების გადასინჯვაზე საუბარი. ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენ ვართ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და რაღაც დონეზე ზემოთ ამ ტარიფს ვერ შემოვიღებთ. მაქსიმალური შეიძლება იყოს ზოგიერთ სახეობაში 15-%, ზოგიერთ საქონელზე – 20%. ჩვენ მხოლოდ საბაჟო ტარიფების დაწესებით ვერ გავუძლებთ იმ გარეშე უზარმაზარ შემოტევას, რომელიც ამ გლობალურ მსოფლიო ბაზარზე არსებობს. ანუ უნდა ვეძებოთ გამოსავალი სხვა რამეში. მხოლოდ 20%-იან ბარიერზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ყველა ქვეყანა აშენდებოდა. საჭიროა ახლებური მიდგომა. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მთავრობის მთავარი აქტივობა უნდა იყოს არა დარგების სელექციური სუბსიდირება, არამედ ინვესტიციები განათლებაში, ჯანდაცვაში, ინფრასტრუქტურაში. კარგი გზები და სხვა კომუნიკაციები, სარწყავი სისტემების მოწესრიგება სოფლის მეურნეობაში. ფინანსური ხელმისაწვდომობა და, რა თქმა უნდა, მეურნეობების გამსხვილება. ბუნებრივია, საქართველო ოჯახში წარმოებული გოჭით, ქათმით, სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც თურქულს და ვერც სხვა ქვეყნის წარმოებულს და ვერც 0,5 ჰა-ზე მოყვანილით. უნდა მოხდეს მეურნეობების გამსხვილება – ეს მევენახეობა იქნება თუ მემცენარეობა და ა.შ., სადაც ახალი ტექნოლოგიები შევა და სადაც ხელით შრომას ტექნიკა ჩაანაცვლებს. რა თქმა უნდა, გამსხვილებას მოსდევს სოფლის მოსახლეობის შემცირება. ბუნებრივია, ორ კურდღელს ერთად ვერ დავიჭერთ. თუ ჩვენ გვინდა, რომ ახალ ტექნოლოგიებზე გადავიდეთ, იგულისხმება, რომ მაშინ გამოთავისუფლებული სოფლის მოსახლეობა სადღაც უნდა დაასაქმო. ქალაქში უნდა იყოს შესაბამისი ინდუსტრიული შესაძლებლობები, ან იქვე, სოფელში უნდა განვითარდეს დამატებითად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ბიზნესი, რომლის საწყისი ბაზა ძალიან კარგი აქვს საქართველოს. ერთ-ერთი ნიშა შეიძლება ეს იყოს ისევე, როგორც ტურიზმი თუ სხვა რამ.

## ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული რეზო ნ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გორის რაიონის სოფელ ჭვარებში დააკავეს.

სამართალდამცველებმა რეზო ნ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ბრაუნინგი“-ს სისტემის „მოდ 1922“-ის მოდელის პისტოლეტი, 5 საბრძოლო ვაზნა, „ბარსი“-ს მოდელის კარაბინი და „ეფ-1“-ის ტიპის 3 მსხვრევადი ხელყუმბარა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

# ირაკლი კახიძე: ჩემი ყველაზე დიდი პედაგოგი მეუღლეა“

ეკა ირემაშვილი

ტენორი ირაკლი კახიძე წარმატებით მოღვაწეობს ევროპაში. საოპერო კარიერა მან საფრანგეთიდან დაიწყო, სადაც მარსელის კონსერვატორიაში ისწავლა. ბათუმელი ხელოვანი საქართველოს ფესტივალ „ბათუმური საღამოების“ ფარგლებში ესტუმრა და ორი კონცერტიც გამართა.

საოპერო მომღერალი „ახალ თაობას“ ჩატარებულ კონცერტებზე, თბილისის ოპერის თეატრში მიმდინარე მოვლენებზე, ევროპულ საოპერო ხელოვნებაში არსებულ თამამ სცენებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

**ირაკლი კახიძე:**

— ორი კონცერტი გავმართე „ბათუმური საღამოების“ ეგიდით. 21 თებერვალს იყო საღამო კაპელასთან და ორკესტრთან ერთად, ამ კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ რომა რცხილაძე, ნინო ქათამაძე, სოფო ხალვაში. 27 თებერვალს კი ჩემი სოლოკონცერტი ჩატარდა სახელწოდებით „წვიმიანი მზიანეთი“. ჩემთან ერთად კონცერტში მონაწილეობდა თეონა დვალი.

***— ფესტივალში პირველად მონაწილეობთ?***

— არა, წინა წლებშიც ვიღებდი მონაწილეობას. საერთოდ, ყველა ფესტივალში ვმონაწილეობ, ელისო ბოლქვაძის ფესტივალშიც ვიყავი ჩართული და დავით მუქერიას ფესტივალშიც, უარს არასოდეს ვამბობ. სულ პირველად რომ ჩატარდა ეს ფესტივალი, მეორე წელი იყო, რაც ვსწავლობდი საფრანგეთში და ათი დღე დავაგვიანე ჩასვლა, იმიტომ რომ აქ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია და არიები შევასრულეთ. ჯერ დავით მუქერიამ გააკეთა ზაფხულის ფესტივალი, შემდეგ უკვე მეორე ფესტივალი ელისო ბოლქვაძემ ჩაატარა, სადაც ჩამოვიდა ბევრი პოპულარული და მაგარი მუსიკოსი ევროპიდან, ბასა ფოცხიშვილმა გადაიღო ფილმი ამასთან დაკავშირებით, იქ ელისო ბოლქვაძე ძალიან კარგად ლაპარაკობს ჩემზე, რომ მისთვის აღმოჩენა ვარ, ირაკლი კახიძე ჩემთვის აღმოჩენააო, ამბობს.

***— ბევრისთვის მართლაც იყო ირაკლი კახიძე აღმოჩენა.***

— მაინც სასიამოვნოა, როცა ასეთი ბუმბერაზი ადამიანი თავის ფილმში დაგითმობს რამდენიმე წუთს. ამით შენს ცხოვრებას აზრი ეძლევა და გაქვს სტიმული, რომ მეტი და მეტი აკეთო, გააგრძელო მუშაობა უფრო მეტი შემართებით და არ მოეშვა.

***— „წვიმიანი მზიანეთის“ პროგრამა თვითონ შეარჩიეთ?***

— კი. რა თქმა უნდა, დირიჟორთან და თეონასთან შეთანხმებით. დირიჟორმა თავისი ნომრები ჩაამატა, მაგრამ ძალიან რთული ნაწარმოებები შეირჩა საბოლოოდ. რადგან რეჟისორი არ გვყავდა, ბევრჯერ გვითამაშია მე და თეონას ერთად და დავგეგმეთ, გამოვსულიყავით სცენაზე და ყველაფერი რასაც გავაკეთებდით, გვეთამაშა. მსახიობური ელემენტები დაგვემატებინა ამ კონცერტისთვის, როგორც სპექტაკლებშია. მთლიანად სცენარი შევკარით პირველ აქტში, დუეტით გავედით კულისებში და მეორე განყოფილებაში სხვა ნაწარმოებები შევასრულეთ. შიგადაშიგ უვერტიურებიც შესრულდა. მადლობელი ვარ, რომ თეონა, რომელიც არც ერთი ოპერის სოლისტი არ არის, მაგრამ დაკავებულია უცხოეთში, დათანხმდა ჩემს სოლოკონცერტში მონაწილეობას. ჩემი სოლოკონცერტისთვის თეონა დვალი საგანგებოდ მოვიწვიე. ის ევროპაში მოღვაწე საკმაოდ წარმატებული სოპრანოა. არ ვიცი, როგორ გადავუხადო ამ ადამიანს მადლობა, რომელმაც ერთი თეთრიც არ მოითხოვა ამ კონცერტში. იდეა ჩემი იყო, როცა შევთავაზე, კონცერტი უნდა გავაკეთო-მეთქი, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩამოსულიყო და არანაირ ჰონორარზე საუბარი არ ყოფილა. დღეს ვერ მოძებნით ასეთ მომღერალს, რომელიც მოღვაწეობს ევროპაში, თუნდაც საქართველოში და არ მოითხოვოს ანაზღაურება, ამიტომ ულრმესი მადლობა თეონას გვერდში დგომისთვის. ერთი ლამაზი საღამო ვაჩუქეთ კლასიკური მუსიკის მოყვარულებს. დირიჟორი მოვიწვიე სპეციალურად უკრაინიდან, ქობულეთელი ილია ინაიშვილი, რომელსაც თბილისში აქვს დამთავრებული და უკრაინაში გადის სტაჟირებას. სამწუხაროდ, მისი კონსერვატორია დაიწვა კიევში განვითარებული მოვლენების გამო. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს უკრაინელი, რომლებიც საფრანგეთში არიან და განვიცადე უკრაინის ამბები.

***— უცხოეთში გიმღერიათ თქვენ და თეონას დუეტში?***

— სამწუხაროდ, არა. ჩვენი გზები ცოტა იყოფა, რადგან თეონა იტალიაში მოღვაწეობს, მე უფრო საფრანგეთში და ვერ ვხდებით ერთმანეთს ევროპაში. სიმართლე რომ გითხრათ, იტალიისკენ არ მიმიწევდა გული არასდროს. არ ვიცი, რატომ. ის კი ვიცი კარგად, რომ იტალია ოპერის სამშობლოა, მაგრამ მგონია, რომ იტალიაში მაშინ უნდა ჩახვიდე, როცა საფრანგეთში და გერმანიაში მორჩები მოღვაწეობას. პირდაპირ იტალიაში კარიერის გაკეთება ძალიან რთულია. მირჩევნია შემოვლითი გზებით მივიდე დასახულ მიზნამდე. უცხოელი რომ ჩამოვიდეს და ქართულ ფოლკლორში ქართველებს გაეჯიბროს, ხომ იქნება სასაცილო? ასევეა იტალიაშიც ოპერის თვალსაზრისით. თუმცა, იტალიაში ბევრი ქართველია, ისინი წლებია იქ მოღვაწეობენ და ძალიან ბევრს შრომობენ. ათწლეულებს ითვლიან, რაც იტალიაში არიან. ბევრი გვყავს ასეთი წარმატებული საოპერო მომღერალი ნანა მირიანი, ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, ნინო მაჩაიძე, გაგნიძე. ჩვენ, მე, სულხან ჯაიანი, იქ ნაკაშიძეა კიდევ, მაგათ შემდეგი თაობა ვართ. ნაკაშიძე იტალიაშია, მაგრამ მე, მამუკა ლომიძემ, სულხან ჯაიანმა, ნიკა გულიაშვილმა, რამაზ ჩიკვილაძემ ყველამ დავიწყეთ მარსელიდან.

***— ხომ არ ნანობთ?***

— არა, რას ამბობთ, რატომ უნდა ვინანო? ჩემი ცხოვრების საუკეთესო ორი წელიწადი უკავშირდება საფრანგეთს. ახლა რომ მიწევს გასვლები, მიჭირს, რთულია მეუღლესთან და ბავშვთან ერთად რომ ვერ მივდივარ, მაგრამ ორი წელი სწავლის პერიოდში ერთად ვიყავით, მეუღლე გვერდით მედგა, ერთი წუთით არ დავუტოვებივარ, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ოჯახი გვერდით მყოლოდა. ეს ყველაფერი დამოკიდებულია ბევრ კონტრაქტებზე, თუ უბრალოდ სტუდენტი ხარ, სწავლობ და გსურს მეუღლის მოწვევა, ასე არ გამოვა. ბევრს უთხრეს უარი, მე გამიმართლა, ბევრი კონტრაქტები მქონდა, რადიო საფრანგეთთან ხშირად ვთანამშრომლობდი და ამან მიშველა. გუგლში რომ დაწეროთ ირაკლი კახიძე და რადიო საფრანგეთი, ყველა ინფორმაცია ამოვარდება.

***— ირაკლი, თბილისის ოპერის თეატრში განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით?***

— სასწაული ამბები ხდება. ორივე მხარემ გამართა ბრიფინგი და ორივე მხარეს დიდი ყურადღებით ვუსმინე. გულახდილად გეტყვით, ზურა იაშვილის დონის ადამიანი რომ ვიყო, საქმე უნდა გავურჩიო, დავხვდე და გავლახო. ადამიანი იძახის, რომ სამარცხვინო ფაქტს გადაარჩინა თეატრი. ჩემი აზრით, მომღერალს მარტო ხმა არ სჭირდება, ტვინიც სჭირდება და აზროვნებაც. ადამიანი, რომელიც მთავარ ცენტრალურ არიას გამოტოვებს სპექტაკლში და ყიყლიყოებით აავსებს მთელ ოპერას, თან ამბობს, რომ ეს კარგად შეასრულა, ცოტა სასაცილოა. ამაზე ძალიან მაგარმა მომღერალმა, ძალიან ვაჟკაცმა ადამიანმა,



ბევრად უფრო ვაჟკაცმა იაშვილზე, ბევრად უფრო პროფესიონალმა ირინე რატიანმა უპასუხა ბრიფინგზე. ირინე ძალიან მიყვარს, ვაფასებ, იმიტომ რომ არის მართალი ადამიანი. ის რაც მან ილაპარაკა, იყო აბსოლუტური სიმართლე. თან არც ვიცოდი რა ხდებოდა, ჩანაწერები ვნახე, ჩამოვედი და გავეცანი. ინტერნეტის საშუალებით ვნახულობდი ამ მოვლენების განვითარების ჩანაწერებს, რადგან არ ვიყავი საქართველოში. სიმართლე რომ გითხრათ, პირი ღია დამრჩა, ზურა იაშვილისგან სხვას არც მოველოდი, მაგრამ მომეწონა და ამაყი დავრჩი, რომ არიან პროფესიონალები, ვაჟკაცური შემართების ადამიანები, ბევრ კაცს რომ ჯობია, როგორიც არის ირინე რატიანი.

***— ასეთი გახმაურება იყო საჭირო?***

— ეს პროცესები მარტივი მიზეზის გამო ვერ მოგვარდებოდა შიგნით. არც ერთ ინტერვიუში არ დამიმალავს, ძალიან პირდაპირი ვარ და ყველგან სიმართლეს ვამბობ, ამიტომ ახლაც ვიტყვი: თბილისის თეატრს აქვს ყველაზე დიდი პრობლემა, მას არ ჰყავს ტენორი, დავიწყოთ აქედან. ამ თეატრს ჰყავს თემურ გუგუშვილი, შესანიშნავი მომღერალი, რომელიც 68 წლის არის თუ არ ვცდები და ეს ადამიანი ვერ იმღერებს ყველაფერს. თემური ძალიან პროფესიონალი მომღერალია, სულ ახლახანს „ტოსკა“ იმღერა აზერბაიჯანში მთლიანი სპექტაკლი შესანიშნავად, მაგრამ ეს ის კაცი არ არის, კმაყოფილი იყოს იმით, თბილისის ოპერის თეატრში სხვა ტენორი რომ არ არის. სახელი და გვარების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ის ტენორები, რომლებიც თბილისის ოპერის თეატრს ჰყავს და იმით უშვებენ სპექტაკლს, მიუხედავად იმისა, რომ მზია ნიორაძის გამოსვლა გამაღიზიანებელი იყო, შეიძლება, სადღაც ამ დარგში დაეთანხმო. იცით, როგორი რალაცაა? სიმართლის მარცვალი ორივე მხარეს აქვს. ვერ გავიგე, რა შუაში იყო ამ მოვლენებთან იმერი კავსაძე ან თუნდაც მზია ნიორაძე, რომლებიც არც ერთი ოპერის თეატრში არ არიან, მათ არანაირი არც იურიდიული, არც მორალური უფლება არ აქვთ, რომ დადგნენ და გაარჩიონ ოპერის თეატრის ამბავი. ეს უფრო სოლისტების და იმ პერსონალის პრეროგატივაა, ვინც წლებია უშუალოდ ამ თეატრში მუშაობს. რაც შეეხება ჯანლუკა მარჩანოს, მისთვის ბრალის დადებაში ვერავის დავეთანხმები. ჯანო კახიძე იყო და გარდაიცვალა, ზაზა აზმაიფარაშვილი გყავს და სახლში გიზის, ჯანლუკა გყავს, კარგი მუსიკოსია და არც ეს არ გინდა, აბა, ჟორდანია გინდა? ყველა კონტექსტიდან ამოვარდნილია ყველაფერი. შეიძლება, ბატონი გიორგი ჟორდანია იყოს ძალიან კარგი პიროვნება, ძალიან კარგი დირექტორი, მაგრამ, დირიჟორი რომ არ არის კარგი, ამაში ყველა დამეთანხმება. ბატონმა თემურ გუგუშვილმაც ბევრი ისაუბრა, მეც მიმუშავია მასთან და არ არის ეს მისი საქმე. არც იმას ვეთანხმები, რომ აიღონ და გაუშვან ეს ადამიანი. რომ დააკმაყოფილა კულტურის სამინისტრომ მისი გადადგომის განცხადება, მერე ჟრიამული კულტურის სამინისტროსთან და ფეიერვერკების სროლაც არ არის ლამაზი. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რა მოხდა, კაცმა არ გაამართლა და წავიდა სახლში. ამაზე პურმარილების გადახდა და რუსთაველზე სირბილი წინ და უკვე ნამეტანი ვულგარულია. არ არის ლამაზი. გული დამწყდა, რომ ჯანლუკა არ იყო თბილისში და ვერ დაესწრო ჩემს კონცერტს, მაგრამ სხვა მეგობრები მესტუმრნენ თბილისიდან. ეს უკვე ტრადიციაა, სამი წლის წინაც ჩავატარე მსგავსი კონცერტი, მაშინაც მყავდა საპატიო სტუმრები თბილისიდან, ყველა ერთად ვიყავით, თბილისი-ბათუმი შევიკრიბეთ და ის პერიოდი კარგად მახსენდება.

ასევე მინდა შევეხო ერთ საკითხსაც. თბილისის ოპერის თეატრის გახსნა გრანდიოზულად იგეგმება. იწერება სპეციალური დისკი „საქართველოს მარგალიტები“. მაპატიეთ, ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველას, ვინც იქ მღერის, მაგრამ არ შეიძლება იმ ადამიანების გამოტოვება, ვინც წლების განმავლობაში თბილისის ოპერის თეატრს ზურგით მოათრევენ და ქაჩავენ, ეს მათთვის თავზე ლაფის გადასხმაა. იმას კი არ ვამბობ, რომ ეს დისკი არ უნდა ჩაწერილიყო, უნდა ყოფილიყო ჩაწერილი რამდენიმე დისკი, პირველ დისკში უნდა შესულიყო თაობა, რომელიც უკვე „პადაიუშიე ზვეზდი“ არიან, ასევე ადამიანები, რომლებიც დღესაც მღერიან და ახალგაზრდები. თაობათა ცვლა ხომ ხდება თეატრში? ეს გარდაუვალია, ამიტომ ყველა მომღერალი უნდა გაერთიანებულიყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველა მომღერალს, ვინც ამ პროექტშია, მაგრამ მათგან შეიძლება ორი-სამი მომღერალი იყოს ჩემთვის პირადად მარგალიტი. მათ თავისი საქმე გააკეთეს და დღეს ველარ მღერიან. ადამიანი როცა ველარ მღერის და ვერ ხვდება ჩამოსვლას სცენიდან, ბევრი გვყავს საქართველოში ასეთი, მის მარგალიტობაზე უკვე ლაპარაკი ზედმეტია. ეს არის სისულელე. ყველაზე ღირსეულები ვინ იყვნენ ზურიკო ანჯაფარიძე და სხვები, ვინც მიხვდნენ, სცენიდან ჩამოვიდნენ და წავიდნენ ისეთი, როგორიც ახსოვდათ ისინი თავიდანვე, როცა დაიწყეს კარიერა. არ შეიძლება ადამიანებს თავი შეაზიზღო და შენი ხმის გაგონება აღარ უნდოდეთ.

***— თქვენი სამომავლო გეგმები ისევ უცხოეთს უკავშირდება?***

— რა თქმა უნდა. მთელი ზაფხული მომიწევს წასვლა, ბოჰემაზე უნდა ვიმუშაო ნიცაში. ისევ იმავე ასოციაციასთან „ოპუს ოპერასთან“, სადაც „სიყვარულის ნექტარი“ ვიმღერე, ბედნიერი ვარ, რომ ისევ შევძლებ მეუღლის და შვილის წაყვანას. პირველ რიგში, მეუღლეზეა ბევრი რამ დამოკიდებული, მან მაქსიმალურად შემიწყო ხელი. ყველაფერს, რასაც მივაღწიე, ჩემი მეუღლის დამსახურებაა. ეს რომ არ ვთქვა, არც დამიჭერს არავინ, მაგრამ ისეთი რთული წლები გამოვიარეთ ერთად, რომ საერთო საცხოვრებელშიც გვიცხოვრია, ჩემს მეუღლეს ჩემს გამო სახლ-კარიც გაუყიდია თბილისში, მერე ღვთის წყალობით, მიმუშავია, მიმღერია, ამინაზღაურებია, კარგი გაგებით ვამბობ, თორემ რომც არ ამენაზღაურებინა, არავინ არაფერს მეტყოდა. ჩემი მეუღლე მღეროდა, თავისი სიმღერა და კარიერა ყველაფერი გვერდზე გადადო. განათლებით ჩემზე უფრო განათლებულია, იმიტომ რომ მაგისტრატურა აქვს დამთავრებული.

***— კარიერაზე უარი თვითონ თქვა?***

— კი. თვითონ თქვა, ვხედავ, შენში არის დიდი პოტენციალი, შენი წარმატება ჩემი წარმატებაა და ჯობია შენ იმღეროო. ჩემი ყველაზე დიდი პედაგოგი ჩემი მეუღლეა დღესაც. რასაც ვიმღერებ, ყველაფერს ფურცელზე დაწერილს მახვედრებს და მეუბნება, სად რა შეცდომა დავუშვი. თვითონაც სულ ვეძებ შეცდომებს ჩემს ყველა ნამღერში, არ ვგავარ სხვა მომღერლებს, რომლებიც ძალიან ტკბებიან თავისი ნამღერით.

***— ნოსტალგია არ აქვს?***

— ალბათ, თავიდან უფრო ჰქონდა ნოსტალგია, მაგრამ ჯანმრთელობასთან ჰქონდა პრობლემა, ოპერაცია დასჭირდა და ერთხელ რომ თქვა, შენში ვხედავ პოტენციალს, შენ რომ გახვალ ევროპაში და იმღერებ, ეს იქნება ჩემი გამარჯვებაო, ამით დასრულდა ყველაფერი. სახლშიც კი არ მღერის, არ აქვს ამის სურვილი. აიღებს ხოლმე ჩემს რომელიმე კარგ ჩანაწერს, ჩართავს და ამით ინაზღაურებს. ჩვენი შეხვედრა იყო ნამდვილი სასწაული, მას შეეძლო კარგი კარიერაც გაეკეთებინა, საერთოდ უარი ეთქვა საქართველოში დარჩენაზე, რადგან ჩვენ რომ შევხვდით 2008 წელს ერთმანეთს, ეს აგვისტოს ომის შემდეგ იყო, პრემიერა მქონდა 4 და 6 აგვისტოს „სოფლის ღირსების“, მაგრამ ჩვენი პრემიერა ვის ახსოვდა, 7-ში ომი დაიწყო. ჩემი მეუღლე ისვენებდა ბათუმში და დანიშნული იყო საბერძნეთის ელჩზე, მოხდა ისე, რომ ნიშნობა ჩაიშალა და დღეს ერთად ვართ. სერიალივით არის ჩვენი ისტორია, მაგრამ ეს სიმართლეა. მას ყველა ჩემი სააახლობლო, სამეგობრო კარგად იცნობდა და რატომღაც არავინ არ გამაცნო. არავისთან ერთად არ მინახავს, მაგრამ, ისე მოხდა, რომ დეპრესიაში ვიყავი, მამიდაშვილი მყავდა დაღუპული, გემის კაპიტანი იყო და ვერ გავიგეთ, ზუსტად როგორ გარდაიცვალა, მოკვდა თუ მოკლეს, ვიყავი დიდი წვერებით, დაღვრემილი, შევხვდით ერთმანეთს. მართლა სერიალია, რომ შევხვდით ერთმანეთს, რომ ვიყავით ერთად, არც სიყვარული აგვიხსნია ერთმანეთისთვის, ორივემ ჩვენი ცხოვრება მოვუყევით ერთმანეთს, პირველი ქორწინება ჩემთვისაც და მისთვისაც წარუმატებელი აღმოჩნდა. რომ გავაცილე, ზუსტად მეორე დღეს წავედი თბილისში, იმიტომ რომ გაცილება იყო ძალიან ცრემლიანი. გამოგიტყდებით, თბილისში მოღვაწეობა არასოდეს მინდოდა, არც მიყვარდა თბილისი, მაგრამ ამ ადამიანმა თბილისიც შემაყვარა. მაშინ პირველად დავთანხმდი დავით საყვარელიძის შემოთავაზებას, როცა არაერთხელ მირეკავდა და მპატიჟებდა თბილისში. მერე ჩემით დავურეკე და ვუთხარი მოვდივარ-მეთქი და გაგიჟდა, რა ბზიკმა გიკბინაო. ეგრევე ჩამოვედი და ვიმღერე კონცერტზე. მერე „ქეთო და კოტე“ მოყვა ამ კონცერტს და მოვედი აქამდე. მადლობა უფალს ყველაფრისთვის, ღმერთის ნების გარეშე არაფერი არ ხდება. დღეს უკვე ოთხი შვილი მყავს და ასეთი დიდი ოჯახი მაქვს. ერთი შვილი პირველი ქორწინებიდან მყავს, მეუღლის პირველი ქორწინებიდან ბავშვებიც ჩვენთან ცხოვრობენ, ერთი საერთო გვყავს, მაგრამ არ ვასხვავებთ, ყველა ჩვენი შვილია და, რა თქმა უნდა, გვაქვს დიდი თბილი ოჯახი.

***— ევროპაში ოპერამ განიცადა ცვლილებები, მასში მრავლად არის თამამი სცენები...***

— ასეთი სპექტაკლები საფრანგეთშიც იდგმება, მაგრამ მანდ ცოტა უფრო ტანწერწეტა ალნაგობის ხალხი სჭირდებათ, ვიდრე მე.

***— და ამან გადაგარჩინათ?***

— ნამდვილად. ქართულმა ღიპმა მიშველა. ევროპამ ბევრი რამ მასწავლა.

***— რას გულისხმობთ?***

— იმის ხარჯზე ნამდვილად ვერ გავიკეთებ კარიერას, რომ მერე ჩემს შვილებს ვინმემ რამე წამოაძახოს. ამით ყველაფერი ნათქვამია.

***— შემოთავაზების შემთხვევაში გაქვთ უარის თქმის უფლება?***

— შემიძლია ვთქვა უარი, ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტია. ისეთ აგენტთან არ ვმუშაობ, ვინც იმას მოითხოვს, რაც არ მომწონს. არის აგენტი, რომელთანაც მუშაობ და აწერ ხელს კონტრაქტს, სადაც წერია, რომ ყველა ვარიანტში უნდა იმღერო. სხვადასხვანაირი კონტრაქტები არსებობს და შესაბამისადაც იხდიან. ჩემი მაქსიმალური ჰონორარი დღეს არის 3-4-5 ათასი ევრო. ამხელა ჰონორარს რომ გიხდიან სპექტაკლში, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. რომ გითხრან, გაიხადე სპექტაკლშიო, უნდა გაიხადო, აქ ლაპარაკი დამთავრებულია.

***— მზად ხართ ამისთვის?***

— იმას არ ვამბობ, რომ არ გავიხდი ან მეშინია, უბრალოდ, სურვილი არ მაქვს ასეთ სპექტაკლში მივიღო მონაწილეობა. ოპერა ვიცი ძალიან კარგად და ისიც ვიცი, რომ არის სინთეზური ხელოვნება, დიდ პატივს ვცემ ამ ჟანრს, მაგრამ გაპორნოებული სპექტაკლები არ არის ჩემთვის მისაღები.

***— დასწრებიხართ ასეთ სპექტაკლს, თუნდაც ინტერესის გამო?***

— არც დავსწრებივარ. სხვათა შორის, გაგნიძემ იმღერა ამდაგვარი „რიგოლეტო“, ჩანაწერი ვნახე, 10-15 წუთი ვუყურე და გული ამერია. გაგნიძე მღერის და უკან დარბიან შიშველი ქალები. არის შემთხვევები, როცა რეჟისორების ფანტაზიას არ უჩანს დასასრული. არც მე ვარ დანაფტალინებული და ზედმეტად ტრადიციული დადგმების მომხრე, მაგრამ სპექტაკლი გათანამედროვებას უნდა იტანდეს. მუსიკა ამის ხარჯზე არ უნდა დამახინჯდეს. როცა ვისმენთ ვერდის ან დონიცეტის, ან პუჩინის, ისეთი შესანიშნავი მუსიკაა, იქ სანახაობა არ გვჭირდება. სანახაობა თუ გვინდა, წავალთ დრამაში და იქ ვნახავთ. ეს არის ოპერა, სადაც ამბავი უნდა გადმოიცეს ლამაზი ხმით, ბელკანტოთი.

***— რამდენი ხნით სტუმრობთ საქართველოს?***

— 10 მარტს მივდივარ. ბევრი მოსმენები დამიგეგმა აგენტმა, მიუნხენში უნდა ჩავიდე. იმასაც გეტყვით, რომ შეიძლება „წვიმიანი მზიანეთი“ თბილისშიც ჩამოვიტანოთ. დირიჟორი ალბათ სხვა იქნება, მაგრამ მე და თეონამ უნდა შევათანხმოთ თარიღი. თეონაც მიდის რომში, მას დიდი წარმატება ჰქონდა, 28 წლის არის და ლა სკალაში დაიანა დამრაუს დუბლია ვიოლეტას პარტიაში. არენა დი ვერონაზეც აქვს ნამღერი, რაც დიდი მიღწევაა, ბევრს არ აქვს იქ ნამღერი.

***— გიზო ჟორდანიას მიერ დადგმული „კარმენის“ პრემიერა როდისაა?***

— ამბობენ მაისში, იმედია აღარ გადაიდება, თორემ სექტემბრამდე მეც არ მცალია. სექტემბერში მე და სულხან ჯაიანს გვინდა, ისევ ილია ინაიშვილთან ერთად ჩავატაროთ კონცერტი. ეს იქნება ბანის, ბარიტონის და ტენორის საღამო. მთელი ზაფხული მომიწევს ნიცაში ყოფნა, ივნისში ბათუმის კონსერვატორიის თხოვნით „სიყვარულის ნექტარი“ იდგმება და მთავარ პარტიაზე სტუდენტების პირადი წერილის საფუძველზე დავთანხმდი. ერთი კონცერტი უკვე ვიმღერე, საინტერესოა მათთან მუშაობა, კარგი თაობა მოდის კარგი ხმებით, კარგი განათლებით. ეს კონცერტი, რომელიც ფორტეპიანოსთან გვქონდა, აპრილში გვექნება ორკესტრთან, შემდეგ უკვე მთლიანი „სიყვარულის ნექტარი“ ისევ სტუდენტებთან 15 ივნისამდე უნდა ვიმღეროთ, რადგან 20 ივნისიდან 22 ივლისის ჩათვლით ნიცაში ვმუშაობ.

# ქუთაისური სამეული წელს სამეულზე მეტს ფიქრობს

სუპერლიგის ბოლო სამ სეზონში 2 ბრინჯაოს მედლის მომგები „ქუთაისი“ მიმდინარე ჩემპიონატშიც არანაკლებ ამბიციურია. იმერული კლუბი ერთადერთია, რომელმაც ამ სეზონში ლიდერი „დინამოს“ დამარცხება მოახერხა. რა იქნება მომავალში და რომელ ადგილს დაიკავებს „ქუთაისი“, მაისის ბოლოს გამოჩნდება, მანამდე კი გუნდის წევრები თითოეული გამარჯვებისთვის იბრძვიან და მიზანს უმეტესად აღწევენ კიდეც. მოედანს მიღმა მათ ტრადიციული ქუთაისური იუმორი არავიწყდებათ და დასვენების პერიოდში დროს საინტერესოდ ატარებენ.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ბარბაქაძე ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. „პატარა ველურას“ შორი სროლებიც ეხერხება, ბურთის ეფექტური გდებაც და არც იუმორში მოიკოჭლებს. ქუთაისელები არ არიან, მაგრამ ბარბაქაძეს იუმორში არ ჩამოუვარდებიან გუნდის თბილისელი და რუსთაველი წევრები – რეზო დიდია და გოგა ცეკვავა.

მათი ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



## სუპერლიგა

**რევაზ დიდია:** წლევანდელ სუპერლიგას საკმაოდ დადებითად შევაფასებდი. ორგანიზების კუთხითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ სპორტის სასახლეს გულშემატკივარი და მაყურებელი აკლია, რასაც ქუთაისზე ვერ ვიტყვით. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა ჩვენს ქომაგებს, რომლებიც ყოველთვის მხურვალედ გვიჭერენ მხარს. კარგი იქნება, საზოგადოება აქტიურად დაინტერესდეს კალათბურთით, იაროს თამაშებზე და დარბაზი გაივსოს.

**ლევან ცეკვავა:** წელს გუნდებს შორის სერიოზული კონკურენციაა, რაც მისასალმებელია. არაერთი გუნდი გაძლიერდა და ჩემპიონობის რამდენიმე რეალური პრეტენდენტია. ეს ჩემპიონატს საინტერესოს და დაძაბულს ხდის.

**გიგი ბარბაქაძე:** წელს უფრო თანაბარი ჩემპიონატია, ბევრი თანაბარი გუნდია, ვინ ვის მოუგებს, წინასწარ არ იცი და ეს ძალიან საინტერესოა.

**რევაზ დიდია:** სუპერლიგას მოცეკვავე გოგონები აკლია. ქუთაისში ეს ამბავი მოგვარებულია, თუმცა ძირითადად ტრიბუნებზე ცეკვავენ ხოლმე.

**ლევან ცეკვავა:** სასურველია, მეტი გუნდი იყოს სუპერლიგაში. წელს სამი გუნდი გამოაკლდა და ეს აშკარად დაეტყო ჩემპიონატს.

**რევაზ დიდია:** ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, საკანდელიძე-ქორქიას მემორიალი ქუთაისში ჩატარდეს.

**გიორგი ბარბაქაძე:** მომავალს წელს ქუთაისი მოემზადება ამ ტურნირის მასპინძლობისთვის.

**ლევან ცეკვავა:** ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი აღმოსავლეთ საქართველოს უფრო მეტი გუნდი ეყოლებოდა. მაგალითად, კახეთის რეგიონიდან. როგორც ბათუმს და ქუთაისს ჰყავთ გუნდები, ასევე უნდა ჰყავდეს, მაგალითად, თელავსაც. სხვა რეგიონებიც აქტიურად უნდა ჩაერთონ კალათბურთში და უმაღლეს ლიგაში გუნდი გამოიყვანონ. იმედია, ამაზე ვინმე იზრუნებს.

## ლეგიონერები

**ლევან ცეკვავა:** ლეგიონერები ჩემპიონატში საჭიროა, თუმცა ვფიქრობ, რომ გუნდმა კი არ უნდა შეუწყოს ხელი ლეგიონერს, არამედ, პირიქით, ლეგიონერი უნდა დაეხმაროს, შეეწყოს და მოერგოს გუნდს. ხშირად მათი უმეტესობა პირად სტატისტიკაზე ფიქრობს და აქ გაკეთებული შედეგით სხვა გუნდში მოხვედრაზე ზრუნავს.

**რევაზ დიდია:** ჩვენც გვყავდა ასეთი ლეგიონერი, ზაურ ფაშაევი, მაგრამ გადმოვაწყვეთ. რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა, მაგრამ არ გამოუვიდა.

**გიორგი ბარბაქაძე:** ვეთანხმები ბიჭებს, ლეგიონერი საჭიროა, მაგრამ მთავარი არა ინდივიდუალური, არამედ გუნდური თამაშია.

## ქუთაისი-2010

**რევაზ დიდია:** წელს ბევრი სერიოზული კონკურენტი გვყავს. საერთოდ არ ველოდით „რუსთავთან“ წაგებას, ამიტომ უკვე ყველას კონკურენტად მივიჩნევთ და ვცდილობთ მობილიზებულად შევხვდეთ ყველა თამაშს. გუნდში ძალიან კარგი სიტუაციაა, პროფესიონალურად გვავარჯიშებენ, დილით ფიზიკური ვარჯიშები გვაქვს, საღამოს დარბაზში ვვარჯიშობთ. ყველანაირი პირობა და კომფორტი გვაქვს შექმნილი.

**გიორგი ბარბაქაძე:** ერთი სერიოზული პრობლემა გვაქვს საფარის სახით. ეს უკვე გაცვეთილი თემაა, 4 წელია ამაზე ვსაუბრობთ. წელს სერიოზული დაპირება გვაქვს და იმედია, მომავალი წელს ეს დაპირება ასრულდება.

**ლევან ცეკვავა:** როგორც რეზიმ თქვა, თითქმის ყველა გუნდი ძლიერია რამდენიმე სუსტს თუ არ ჩავთვლით. მთავარ კონკურენტად მაინც „დინამოს“ მივიჩნევთ, შემადგენლობითაც და სატურნირო ცხრილის გათვალისწინებითაც ლიდერია. ასევე ძლიერი მეტოქეები არიან „არმია“ და „ბათუმი“, რომელსაც მომატების დიდი პერსპექტივა აქვს. ასე რომ, კონკურენტები მრავლად გვყავს.

## საქართველოს თასი

**გიორგი ბარბაქაძე:** როგორც თავიდანაც აღვნიშნე, შანსები თანაბარია და ვინ ვის მოუგებს, წინასწარ ვერ განსაზღვრავ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ და მაქსიმალურად ვიბრძოლებთ შედეგისთვის.

**რევაზ დიდია:** ვეცდებით თასზე კარგად ვიასპარეზოთ, დიდი სურვილი გვაქვს ფინალში გასვლის და მაქსიმალური შედეგის ჩვენების.

## ქუთაისის ასაკობრივი გუნდები

**ლევან ცეკვავა:** ქუთაისის ასაკობრივ გუნდებთან გარკვეული შეხება გვაქვს. როგორც ვიცით, სპორტსკოლაში ძალიან ცუდი ინფრასტრუქტურაა და ამ ყველაფერს სერიოზული მიხედვა სჭირდება. დარბაზში გათბობა, გასახდელები, საშხაპე და სხვა ელემენტარული პირობები აუცილებლად უნდა არსებობდეს.

**რევაზ დიდია:** ძალიან გვინდოდა ბავშვებთან მისვლა და საჩვენებელი ვარჯიშის ჩატარება, მაგრამ სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ მოხერხდა. 20-წლამდელები ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ და ვცდილობთ 18-წლამდელთა გუნდთანაც გვქონდეს კონტაქტი.

## გულშემატკივრები

**ლევან ცეკვავა:** მთელი ქალაქია კალათბურთში ჩართული. მგონი, რუსთავში არ მიცნობს იმდენი ხალხი და არ მყავს იმდენი გულშემატკივარი, რამდენიც ქუთაისში.

**გიორგი ბარბაქაძე:** ბავშვები ძალიან აქტიური გულშემატკივრები არიან. სადაც არ უნდა მივიდე ქუთაისში, ყოველთვის სითბოთი მხვდებიან. თამაშზე მათი შეძახილები ძალიან მამხნევებს და ენერგიით მავსებს. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**რევაზ დიდია:** გულშემატკივართა მხარდაჭერა ჩვენთვის დიდი სტიმულია, თამაშს სულ სხვა ხიბლი აქვს, ჩვენი ქომაგები ყოველთვის სწორი და კარგი შეძახილებით გვამხნევებენ.

## კარიერა

**რევაზ დიდია:** კალათბურთის თამაში 10 წლის ასაკში ნიკოლოზ დერიუგინთან დავიწყე, შემდეგ გელა წულაძესთან და მიხეილ კობეშავიძესთან გადავედი. მამაჩემი სამოყვარულო დონეზე კარგად თამაშობდა, ერთხელ ბავშვებს მოგვიგო და მომინდა, მეც მომეგო მისთვის, ამიტომ შევედი კალათბურთზე.

**ლევან ცეკვავა:** კალათბურთზე ჩემი მეგობრები დადიოდნენ და ერთერთმა მეც მიმიყვანა. პირველად მალხაზ აბაიშვილი მავარჯიშებდა, შემდეგ გურამ რეხვიაშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდაში. მერე ბატონ ოთარ ხმელიძესთან გადავედი, მან ძალიან ბევრი რამ მასწავლა. 16 წლის ვიყავი, როცა დიდ გუნდში მოვხვდი ისეთ კალათბურთელებთან, რომელთა გვერდით თამაშზე ვერც ვიოცნებებდი – ირაკლი ჯაფარიძე, რამაზ გოგობერიშვილი, მიხეილ ბერუაშვილი...

**გიორგი ბარბაქაძე:** თავიდან თამაზ კოსტავასთან, ჩემს ნათლიასთან მივედი ფეხბურთზე, ვარჯიშზე ბურთის გარეშე მივედი და კარებში დამაყენეს – მეკარე ვიყავი. დათო ამ პერიოდში უკვე დადიოდა კალათბურთზე, მის ვარჯიშებს ვესწრებოდი ხოლმე. სწორედ მისმა მწვრთნელმა, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა აღმომაჩინა და მშობლებს ურჩია, კალათბურთზე გადმოვეყვანეთ. როცა ნიკომ ჩემი ასაკის გუნდი გააკეთა, მასთან ვვარჯიშობდი, შემდეგ იყვნენ ვაჟა ჭოტაშვილი, თემურ აბულაძე და სხვები.

## გამარჯვებები

**რევაზ დიდია:** 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის „ბ“ ლიგის ჩემპიონები გავხდით და ეს ყველაზე კარგად მახსენდება. არავინ მოელოდა ჩვენს გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის ახალი ჰიმნიც კი არ ჰქონდათ და ბიჭებმა გადმოვწერეთ. ნამდვილად ყველაზე ემოციური და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

**ლევან ცეკვავა:** ევროპის ჩემპიონატი არ მომიგია, მაგრამ 2 თამაში განსაკუთრებულად მახსენდება. პირველი, როცა რუსთავის გუნდი 20-წლამდელთა ჩემპიონები გავხდით, მეორე კი სუპერლიგის ჩემპიონობა იყო.

**რევაზ დიდია:** ერთად ვიყავით უმაღლეს ლიგაში და ჩემპიონებიც ერთად გავხდით.

**ლევან ცეკვავა:** 20-წლამდელთა ჩემპიონობა მაინც ყველაზე სასიხარულო იყო, სიხარულისგან ვტიროდი. დადიანის თასიც მოვიგე „რუსთავის“ და „ქუთაისის“ შემადგენლობაში და ესეც კარგად მახსენდება.

**გიორგი ბარბაქაძე:** გოგამ რამდენჯერაც დუდუ დადიანის მემორიალი მოიგო, იმდენჯერ ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. სულ მგონი 5-ჯერ მოიგო და 4-ჯერ საუკეთესო გახდა. რაც შეეხება ჩემს გამარჯვებას, ევროპის ჩემპიონატზე 16-წლამდელთა ნაკრების წარმატებას გავიხსენებდი, როცა ფინეთს მოვუგეთ, „ბ“ ლიგის ჩემპიონები გავხდით. უნდა აღვნიშნო ოლ სტარიც, შარშან 3-ქულიანების კონკურსის მოგებით პირველი გავხდი, ვისაც ჩატენვების და სამქულიანების კონკურსიც მოგებული აქვს. არ ვიცოდი, თუ ორივე კონკურსი არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონდა მოგებული, ამის შესახებ რეზიმ მითხრა და ეს დიდი სტიმული იყო ჩემთვის. გული მწყდება, რომ წელს ვეღარ მოვიგე 3-ქულიანების კონკურსი, ძალიან არ გამიმართლა.

## ფავორიტები

**რევაზ დიდია:** ბავშვობაში განსაკუთრებულად მიყვარდა ჯორდანი, მაგრამ ახლა ასე არავის გამოვარჩევ. ძალიან მიყვარს ევროლიგის ყურება და უფრო „ბარსელონასკენ“ ვიხრები. ზოგადად, ევროპული კალათბურთი მირჩევნია ნბა-ს, ბევრად უფრო ინტელექტუალურია, ვიდრე ფიზიკურ მონაცემებსა და შოუზე ორიენტირებული ამერიკული თამაში.

**ლევან ცეკვავა:** ნბა-ში „მაიამის“ და მის ორ კალათბურთელს – ლებრონ ჯეიმსს და დუეინ ვეიდს გამოვარჩევდი.

**გიორგი ბარბაქაძე:** კონკრეტულად არავის ვგულშემატკივრობ, ნებისმიერი კარგი და ლამაზი თამაშის ყურება მსიამოვნებს, თუმცა „მაიამის“ თამაშს მეც გამოვარჩევდი, კალათბურთელებიდან კი ევროპაში ვგულშემატკივრობ ნავაროს. დავეთანხმები რეზის, რომ ევროპული კალათბურთი უფრო ტაქტიკურია, ვიდრე სანახაობრივი.

## სამომავლო გეგმები

**რევაზ დიდია:** არ ვიცი, მომავალში რა იქნება, შეიძლება ვერ გავაგრძელო ქუთაისში კარიერა, რადგან ოჯახი ძალიან მენატრება, დასვენების დღეებში სულ გზაში ვართ. უკვე მე-4 წელია ასე ვართ.

**გიორგი ბარბაქაძე:** საფარი დიდი პრობლემაა, თუ არ შეიცვალა, დარჩენის შანსი ძალიან ცოტაა, ვნახოთ, რა შემოთავაზებები იქნება და იმის მიხედვით გადავწყვეტ.

**ლევან ცეკვავა:** ერთადერთი, რაც გვაძლებინებს, რეჟიმია, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, აუზი, ტრენაჟორები და ეს მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს, სულ ფორმაში ვართ. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე გუნდს აქვს საქართველოში ისეთი ვარჯიშები, როგორიც ჩვენ გვაქვს.

**რევაზ დიდია:** მომავალში აუცილებლად ამ სფეროში დავრჩები, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია, ახალგაზრდებმა ისწავლონ და მხოლოდ სპორტზე არ იფიქრონ. მე 22 წლის ვიყავი, როცა ჩავაბარე და სტუდენტი გავხდი. ქუთაისში ვსწავლობ საბანკო საქმეზე. მომავალში მაქვს, სურვილი გოგასთან ერთად მწვრთნელი გავხდე, გვაქვს სერიოზული გეგმები, გვინდა, კარგი კალათბურთელები გავზარდოთ.

**ლევან ცეკვავა:** მე და რეზის მართლა ძალიან გვინდა გუნდი გავაკეთოთ, ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ და უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა.

**გიორგი ბარბაქაძე:** მე მათი გუნდის მენეჯერი ვიქნები.

## თავისუფალი დრო

**რევაზ დიდია:** ჩემი მეუღლე თბილისში ცხოვრობს და ვცდილობ, დასვენების დღეები მაინც გავატარო ოჯახთან ერთად, ფაქტობრივად, სულ გზაში ვარ.

**ლევან ცეკვავა:** მე და რეზი ერთად ვცხოვრობთ, ჩვენი რეჟიმის გამო თავისუფალი დრო თითქმის არ გვაქვს, ვარჯიშიდან მოსვლის შემდეგ ვისვენებთ, საღამოს ისევ ვარჯიში გვაქვს და მუდმივად ასეა. დასვენების დღეს, როგორც რეზიმ თქვა, გზაში ვართ, ოჯახთან ჩამოვდივართ და ღამე უკან ვბრუნდებით, რადგან დილით ისევ ვარჯიშზე უნდა ვიყოთ. უკვე წლებია, ასეთი რეჟიმი გვაქვს.

**გიორგი ბარბაქაძე:** მე ამ მხრივ პრობლემები არ მაქვს, ქუთაისელი მეუღლე მყავს, გვყავს პატარა მათე და მთელ თავისუფალ დროს ერთად ვატარებთ. რეზის და გოგასგან განსხვავებით, არც სადილის მომზადება მიწევს.

**ლევან ცეკვავა:** ჩვენს სადილსა და ვახშამზე მე ვზრუნავ. თან, მეხერხება, თუმცა პრაქტიკულად, სხვა გზა არც მაქვს, რადგან რეზის საჭმლის კეთება არ გამოსდის.

**გიორგი ბარბაქაძე:** იყო პერიოდი, როცა 4 კაცი ვცხოვრობდით ერთად და იქ ძირითადად მე ვიყავი შეფ-მზარეული, რეზი უფრო გამრთობი იყო, ჩვენს განწყობაზე ზრუნავდა და მუსიკალურად აფორმებდა ყველაფერს.

**ლევან ცეკვავა:** საფირმო საზაფხულო კერძი მაქვს, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებს და მისი რეცეპტი მხოლოდ მე ვიცი.

**რევაზ დიდია:** „შიმშილის გამოძახილი“ ჰქვია

**ლევან ცეკვავა:** საერთოდ, ბევრი კერძი გამომდის კარგად რეზიმაც იცის კარგი კერძის მომზადება, თუმცა, არასდროს გაუკეთებია და, შესაბამისად, ჩვენც არასდროს გაგვისინჯავს.

**რევაზ დიდია:** ცეზარს ვაკეთებ კარგად, მაგრამ ჯერ არ გამიკეთებია.

## ეროვნული ნაკრები

**რევაზ დიდია:** წელს ძალიან კარგი შანსები გვაქვს. ბიჭებს მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას, ძალიან ვგულშემატკივრობ და დიდი სურვილი მაქვს, კვლავ ვიხილო ევროპაზე ჩვენი ნაკრები, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

**ლევან ცეკვავა:** წინა შესარჩევთან შედარებით, უკეთეს ჯგუფში მოვხვდით. იმედია, წელს დანაკლისის გარეშე ვითამაშებთ, ყველა ჯანმრთელად იქნება და აუცილებლად გავალთ შემდეგ ეტაპზე. ბიჭები ძალიან კარგ სეზონს ატარებენ თავიანთ გუნდებში და დარწმუნებული ვარ, ევროპისთვისაც შესანიშნავ ფორმაში იქნებიან.

**გიორგი ბარბაქაძე:** იმედია, ბიჭები ფორმას შეინარჩუნებენ და წარმატებებს მიაღწევენ. ძალიან კარგი შანსები გვაქვს და დანარჩენი მათზეა დამოკიდებული, თავს უნდა გაუფრთხილდნენ, რათა შედეგი ვაჩვენოთ. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ნაკრებს.

## რჩევები ახალგაზრდებს

**რევაზ დიდია:** პირველ რიგში, უნდა უყვარდეთ კალათბურთი. მშობლებმა მხოლოდ სიმაღლის გამო არ უნდა შეიყვანონ. ძალიან ბევრი უნდა ივარჯიშონ და იმაზე იფიქრონ, რომ ევროპაში მათი თანატოლები ბევრად მეტს შრომობენ და ვარჯიშობენ და თუ რაიმე შედეგის მიღწევა უნდათ, ეს უნდა გაითვალისწინონ.

**გიორგი ბარბაქაძე:** უნდა შეიყვარონ სპორტი. ბევრი ვარჯიში და მონდომებაა საჭირო, მთელი დრო უნდა დაუთმო ვარჯიშს და შენს თავზე მუშაობას. სიმაღლეში გაზრდის გამო არ უნდა იარო, ეს მაინც ტყუილია.

**რევაზ დიდია:** ნათელი მაგალითი გვყავს გოგას სახით.

**ლევან ცეკვავა:** თუმცა, საქართველოში მხოლოდ მონდომება არ არის საკმარისი. ხელშეწყობაა საჭირო. სპორტსმენისთვის სწავლაც აუცილებელია. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვუთავსებდით სპორტსა და სწავლას ერთმანეთს. ეს საკმაოდ რთულია და ამიტომ ამ მხრივ სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა. აუცილებელია ფედერაციამაც შეუწყოს ხელი ახალგაზრდებს.

**რევაზ დიდია:** მწვრთნელებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ყველა ბავშვს უნდა მიექცეს ყურადღება, განურჩევლად მათი სიმაღლისა და მონაცემისა, რადგან რამდენიმე წელიწადში შესაძლოა სულ სხვა სურათი მივიღოთ. არც ერთი ბავშვი არ უნდა დაიჩაგროს.

**გიორგი ბარბაქაძე:** შესაძლოა ბავშვს თავიდან ტალანტი არ აღმოაჩნდეს, მაგრამ მონდომებით და მუშაობით ბევრს მიაღწიოს. ამიტომ, მთავარი ბევრი ვარჯიში და შრომაა.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ლევან ჯაჭვლიანი დისკრიმინაციული ნიშნით მოხსნეს“

თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ლევან ჯაჭვლიანი „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მონიტორინგის და ინსპექტირების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან დისკრიმინაციული ნიშნით მოხსნეს. სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია საქმის შესწავლაზე ამ ეტაპზე უარს ამბობს.

საქართველოში, 2012 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საჯარო და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ხელმძღვანელები, მათ შორის თანამშრომლებიც მასობრივად გაათავისუფლეს. უმეტეს შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილებზე, კონკურსის გარეშე „ქართული ოცნების“ აქტივისტები დაინიშნენ.

„რეორგანიზაცია“ ერთი პირის გათავისუფლების გამო

საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დირექტორი შეიცვალა „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდშიც“, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა. ამ თანამდებობაზ გიორგი ჩხეიძე დაინიშნა. 2013 წლის 23 იანვარს ფონდის დირექტორმა რეაორგანიზაცია გამოაცხადა, რომელიც მისივე ბრძანების თანახმად, 2013 წლის 1 თებერვალს, ანუ 8 დღეში უნდა დასრულებულიყო.

„რეორგანიზაციის“ შედეგად, 1 თებერვალს, ორგანიზაციას სახელი შეეცვალა და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ დაერქვა; გაუქმდა მონიტორინგისა და ინსპექტირების სამსახური და მის ნაცვლად, შიდა აუდიტისა და მონიტორინგისსამსახური ჩამოყალიბდა; აღნიშნული სამსახურის უფროსის ხელფასი 1000ლარით გაიზარდა და 3500ლარი გახდა; გაიზარდა შტატების რაოდენობა; ძველი საშტატო განრიგით გათვალისწინებული იყო 29 საშტატო ერთეული, ახალი საშტატო განრიგით კი 46; რამოდენიმე ათეულით გაიზარდა ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების რაოდენობა.

ორგანიზაციის ძველი და ახალი დებულებების შედარების შედეგად, მონიტორინგის სამსახურის ფუნქციები არსებითად არ შეცვლილა. ამის მიუხედავად, სააგენტოს დირექტორმა გიორგი ჩხეიძემ სამსახურის უფროსს ლევან ჯაჭვლიანს თანამდებობიდან წასვლა მოსთხოვა. „მას არ განუმარტავს, რეორგანიზაციის შემდეგ რას ვერ ვაკმაყოფილებდი. მხოლოდ ის მითხრა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე სხვა პირი ჰყავდა შერჩეული, „ნდობის მაღალი ხარისხით“, – ამბობს ლევან ჯაჭვლიანი.

ლევან ჯაჭვლიანმა თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება არ დაწერა. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში ის საქართველოს სახალხო დამცველის საპარატში მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, სააგენტოს დირექტორმა მონიტორინგის სამსახურის უფროსად კორნელი გაბლიშვილი 1 თებერვალს ისე დაინიშნა, რომ ლევან ჯაჭვლიანი ჯერ გათავისუფლებული არ იყო. ჯაჭვლიანის გათავისუფლების ბრძანება 6 თებერვლით თარიღდება.

ლევან ჯაჭვლიანმა უკანონო ბრძანების გაუქმების, თანამდებობაზე აღდგენის და განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

„სააგენტომ სასამართლოში წარსადგენად საჭირო დოკუმენტაციის გაცემაზე უარი მითხრა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სააგენტოს წერილობით დაავალა დოკუმენტაციის გადმოცემა, კერძოდ, კორნელი გაბლიშვილის დანიშვნის ბრძანება, რეორგანიზაციის შემდგომ თანამშრომლების რაოდენობა და სხვა, მაგრამ მაინც არ მომაწოდეს“,– აღნიშნავს ლევან ჯაჭვლიანი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლევან ჯაჭვლიანთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად მის მიერ დაკავებული თანამდებობის (მონიტორინგის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი) არ არსებობის გამო და მას მიეცა კომპენსაციის სახით ერთი თვის ხელფასი.

ლევან ჯაჭვლიანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი დააკმაყოფილა. მოსამართლეებმა ქეთევან მესხიშვილმა, ლილი ტყემელაძემ და ნათია გუჯაბიძემ არასწორად მიიჩნიეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ძველი და ახალი სამსახურები არ განსხვავდება ერთმანეთისგან ფუნქციურად და რომ ძველი სამსახურის ფუნქციები მთლიანად ფარავს ახალი სამსახურის ფუნქციებს. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ რეორგანიზაციას არ მოყოლია შტატების შემცირება, არც ლევან ჯაჭვლიანის კვალიფიკაციის არასაკმარისობა დადასტურდა „რეორგანიზებული“ სამსახურის უფროსის პოზიციაზე.

„რეორგანიზაციის შემთხვევაში მუშაკებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტას ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ კანონი“. იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ანალოგიის პრინციპით გამოიყენებდა ზემოთაღნიშნულ კანონს, მას უნდა დაემტკიცებინა, რომ მოხდა შტატების შემცირება. სინამდვილეში, საქმეში დევს მტკიცებულება, რომ ე.წ. რეორგანიზაციის შემდეგ შტატები გაიზარდა. პალატა განმარტავს, რომ „მარტოოდენ რეორგანიზაცია დასაქმებულის სამსახურიდან გაშვების საფუძველი არ უნდა გახდეს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ე.წ. „რეორგანიზაციის“ საფუძვლით პირის სამსახურიდან გაშვების დისკრიმინაციული მოტივები შეიძლება დაიფაროს, დამსაქმებლის მიერ მარტოოდენ რეორგანიზაციაზე აპელირება დისკრიმინაციას არ გამორიცხავს“; „მოწინააღმდეგე მხარემ ვერ გამორიცხა ლევან ჯაჭვლიანის თანამდებობიდან გათავისუფლების დისკრიმინაციული საფუძვლების არსებობა“, რის გამოც ლევან ჯაჭვლიანის სამსახურიდან გათავისუფლება არამართლზომიერად იქნა მიჩნეული. სწორედაც რომ დისკრიმინაციული ქმედების გამო მოხდა მოსარჩელის გათავისუფლება ვითომდა „რეორგანიზაციის“ საფუძვლით. მოსარჩელე პირნათლად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას“, –აღნიშნულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სააპელაციო სასამართლომ ბათილად სცნო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანება, მონიტორინგისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ლევან ჯაჭვლიანის გათავისუფლების შესახებ და სააგენტოს დაავალა: აღადგინოს ლევან ჯაჭვლიანი ტოლფას თანამდებობაზე; აუნაზღაუროს იძულებით განაცდური ყოველთვიურად 2700ლარის ოდენობით სამსახურში აღდგენამდე.

პროექტების მართვის სააგენტომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

სააგენტოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

ლევან ჯაჭვლიანის სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოში სააგენტოს ინტერესებს კერძო ადვოკატი პაატა ლობჟანიძე იცავდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სააგენტოს, რომელსაც თავისი იურიდიული სამსახური აქვს, კერძო ადვოკატის მომსახურება რამდენიმე ათასი ლარი დაუჯდა. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ჩვენ სააგენტოს წერილობით მივმართეთ, თუმცა უარი მივიღეთ. სააგენტოს დირექტორის გიორგი ჩხეიძის განმარტებით, სააგენტო არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ადმინისტრაციული დანახარჯები, მათ შორის თანამშრომლებზე გაცემული შრომითი ანაზღაურება, არ შეადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს.

ლევან ჯაჭვლიანმა სააგენტოს მოსთხოვა, მიეთითებინა იმ ფინანსური სახსრების წარმომავლობა, საიდანაც ხდება ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვა, რაზედაც ინფორმაცია ვერ მიიღო. სააგენტომ ასევე უარი განაცხადა გაეცა ინფორმაცია, საადვოკატო მომსახურებისათვის 2013 წელს რა თანხა გახარჯეს.

ვერ მივიღეთ ინფორმაცია ვერც სააგენტოს თანამშრომლებზე გაცემული პრემიების და სხვა ფინანსური ოპერაციების შესახებ.

ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით არის დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე და მისი საჯარო სამართლებრივი მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. სააგენტოს მმართველობითი ორგანო გამგეობაა, რომელიც 9 წევრისგან შედგება – პრემიერ – მინისტრისა და მინისტრებისგან. სააგენტოს დირექტორს გამგეობა ნიშნავს. სააგენტოს მართვაშია სახელმწიფო საწარმოები, რომელთა პროფილი სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობაა.

საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის შეფასებით, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. „მოცემულ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება“, – ამბობს უჩა ნანუაშვილი.

სახალხო დამცველმა, სოფლის მეურნეობის მინისტრს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მოსთხოვა.

მინისტრის კომენტარი – მე ვიცი, საიდან მოდის შენი კითხვა

ლევან ჯაჭვლიანმა თანამდენობიდან მისი უკანონოდ გათავისუფლების საკითხზე სოფლის მეურნეობის მინისტრს შალვა ფიფიას და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიასაც მიმართა.

სამინისტროდან ლევან ჯაჭვლიანს აცნობეს, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ მისი საკითხის განხილვა, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ არის.

ეკა ბესელიამ კი აღნიშნა, რომ კომიტეტმა შეისწავლა ლევან ჯაჭვლიანის განცხადება და მიიჩნია, რომ მასში მოყვანილი ფაქტები საჭიროებს დეტალურ და ობიექტურ სამართლებრივ განხილვას. კომიტეტმა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, რეაგირებისათვის სოფლის მეურნეობის მინისტრს გადაუგზავნა.

ლევან ჯაჭვლიანის უკანონოდ გათავისუფლებასთან და სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის არ გაცემასთან დაკავშირებით, ჩვენ რამდენიმე კითხვით სოფლის მეურნეობის მინისტრს შალვა ფიფიას მივმართეთ:

– სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, რომელსაც ბიუჯეტიდან მრავალი მილიონი ერიცხება, უნდა იყოს თუ არა საჯარო ამ თანხების ხარჯვის შესახებ დოკუმენტაცია?

– მე ველოდი ამ კითხვას თქვენგან. მე ვიცი, ეს რისგან არის გამოწვეული. მოგახსენებთ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი. მისი დაფინანსების წყაროები არის როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე არასაბიუჯეტო სახსრები. მნიშვნელოვანია, რომ ამ სააგენტოს ადმინისტრირების თანხების დაფინანსება არ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუმცა, იგივე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, იმ ინფორმაციას რაც არის საჯარო ინფორმაცია, სააგენტო ყოველთვის აწვდიდა განმცხადებელს. ხოლო, თუ ხდება არასაჯარო ინფორმაციის, მათ შორის კონფიდენციალური ან პირადი ინფორმაციის მოთხოვნამ, ამ ინფორმაციის გაცემა არ მოხდება.

– ბიუჯეტიდან დაფინანსებული მრავალმილიონიანი პროექტების შესახებ თანხის ხარჯვის დოკუმენტაცია უნდა იყოს თუ არა საჯარო?

– ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

– იღებენ ამას დაინტერესებული პირები? რამდენიმე მედიაორგანიზაციამ გამოვითხოვეთ, ჩვენ – საინფორმაციო ცენტრების ქსელმა, სტუდია „მონიტორმა“ და ეს ინფორმაცია ვერცერთხელ ვერ მივიღეთ.

– რა ინფორმაცია მოითხოვეთ კონკრეტულად?

– რაც გითხარით.

– კონკრეტულად რა ინფორმაცია მოითხოვეთ?

– ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით ჩარიცხული თანხების ხარჯვის შესახებ დოკუმენტაცია უნდა იყოს თუ არა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის?

– საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული კი. ადმინისტრაციული ხელფასების შესახებ ინფორმაცია თუ მოითხოვეთ, იმას არ მოგცემენ. ეს არ არის საჯარო ინფორმაცია და იმას არ მოგცემენ, რაც პირადი ინფორმაციაა.

– სახალხო დამცველის რეკომენდაციას გაეცანით ამ საკითხზე?

– დიახ, გავეცანი.

– აპირებთ გაითვალისწინოთ?

– ის ინფორმაცია, რაც საჯარო ინფორმაციაა, სააგენტოს მიერ იქნა გაცემული. ხოლო ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პირად ინფორმაციას ან კონფიდენციალურ ინფორმაციას, არ მოგცემენ.მე ვიცი,საიდან მოდის შენი კითხვა.

– რა მნიშვნელობა აქვს საიდან მოდის? ვალდებული არ ვარ მიზეზი განვმარტო.

– მე ვიცი.

– იცოდეთ, არ არის პრობლემა. კიდევ ერთი კითხვა მაქვს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მინიტორინგისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის ლევან ჯაჭვლიანის სარჩელთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა იქ, რომ მისი განთავისუფლება ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდა დისკრიმინაციული ნიშნით. გაეცანით ალბათ.

– თქვენ თუ ხართ გაცნობილი, რომ პირველ ინსტანციაში ეს ასე არ იყო.

– კი, წავიკითხე.

– დღეის მდგომარეობით საქმე განხილვაშია სასამართლოში და როგორი შედეგიც დადგება, ჩვენ მოვიქცევით ისე.

– ეკა ბესელიამაც მოგმართათ ამ საკითხზე. გაეცანით მის მომართვას?

– არა, ქალბატონი ეკას წერილი არ მინახავს“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი ლევან ჯაჭვლიანთან დაკავშირებით, ჯერ დასაშვებად ცნობილი არ არის. მოქმედი კანონმდებლობით, საჩივრის განსახილველად დაშვების შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება საჩივრის მიღებიდან 6 თვის ვადაში უნდა მიიღოს.

***კახეთის საინფორმაციო ცენტრი***



წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვათ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:

თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე: GE95LB0711154286819 40

☎ 577-544-222, 598-204-570


● ვაკეთებ ბინების რემონტს: სამღებრო სამუშაოებს (სამალიარო), „გიფსო-კარდონს“, ვაგებ ლამინატს და ასევე ვაკეთებ „სტიაშკას“, უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90 დათო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიზიროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## ჯანმრთელობა

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.



## ორშაბათი 3 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"უცოლო"** (რ.ზელვეგერი) **17.00** ქართ. ტ/ფ. **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა", "ზზიანეთი"** **18.00** ტ/სერ **"დეიდაშვილები"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ **"კომანდორთა ციხე-სიმაგრე"** **22.00, 05.30** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"სრულყოფილი სამყარო"** **03.00** "დღეს" **05.00** "ქართული ჯარი" (გ/ჩვ)

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "დიდი ბრიტანეთი" **08.00** მხ/ფ **"უცოლო"** (რ.ზელვეგერი) **09.45** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "კარიბის კუნძულები" **10.15** მხ/ფ **"მიფრთხილდი ლა ტურ"** **11.45** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "მექსიკა" **12.15** მხ/ფ **"გაალეთ პლიციაა!"** **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა. **10.05** სერ **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** პანორამა (გ/ჩ) **16.03** სერ **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ **"სილა"** **22.00** იუმორინა **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.30** მის საქართველო **2013** – დღიური **00.45** მხ/ფ **"ლამაზი მერის ამბავი"** (ბ.სტილერი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დოკ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" **06.30** მხ/ფ **"20 ათასი ლიე წყალქვეშ"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ვედრება"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" I ნაწ. მათეს სახარება **16.55** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ.გვასალია) **16.15** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) **19.35** დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **20.40** ძილი ნებისა **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** სახლი ღვთისა **21.35** სადვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **23.15** დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** **0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.00** "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## სამშაბათი 4 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** **17.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **17.00** ტ/სერ. **"დეიდაშვილები"** **19.15, 04.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"კომანდორთა ციხე-სიმაგრე"** **22.00** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **22.40** მხ/ფ **"მაგნოლია"** (ჯ.მური) **04.30** მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** **06.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.15** ქრონიკა. **10.05** სერ **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** იმედის გმირები **15.25** "ჩვენებურები – ლაზეთის ბულბული" **16.03** სერ **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო (პ/ე) **00.00** ქ.მხ/ფ **"რევერსი"** **01.00** მის საქართველო **2013** – დღიური **01.25** მხ/ფ **"ლამაზი მერის ამბავი"** (ბ.სტილერი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00, 03.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დოკ/ფ "კაპელანი" **06.30** მხ/ფ **"20 ათასი ლიე წყალქვეშ"** II სერია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **11.05** პატერიკი **11.10** სადვთისმსახურო წელიწადი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **13.20** საკვირაო სახარების განმარტება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" II ნაწ. მარკოზის სახარება **16.05** ქვიშით ნაამბობი **16.15** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **16.55** ერთსულოვნების სალონი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.20** ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) **19.40** მარხვა და ლოცვა (მეუფე დანიელი) **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ელენე კავლელაშვილი "საცეცხლურები" **23.30** საქართველოს ისტორია **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

